პარასკევი, 1918 წ. ღვინობისთვის 25 № 202
წელიწადი მეოთხე

პარასკევი, 1918 წ. ღვინობისთვის 25 № 202
ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

**კონტორა**

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—50 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა **15--73**

**დილის წარმოდგენა** **სახელმწიფო თეატრი** **დილის წარმოდგენა**

კვირას, 27 ოქტ., 1918 წ საქართველოს ჯარის სამუსიკო საქმეთა გამგის და მთავარ ლოტბარის კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართება პირველად თბილისში

**ქართულ-გერმანული სამხედრო მუსიკის სანიმუშო კონცერტი**

დამკვრელთა დასების ცალ-ცალკე გამოსვლის შემდეგ, ქართველ-გერმანელთა მრავალრიცხოვანი ორკესტრი (100 კაცი) კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით შეასრულებს ქართული სამხედრო მუსიკის სანიმუშო პიესებს. შესრულებული იქნება სხვათა შორის კ. ფოცხვერაშვილის ახლად შემუშავებული ძველი ქართული ჰიმნები: **იამბიკოები, მუნასიპები, ქებადები, სავრი და სხვანი.** პროგრამაში შედის აგრეთვე ახლად გაორკესტრებით: **ქართული ეროვნული ჰიმნი.** ლაშქრული, ლოცვა ქართველი ერისა, თავისუფლების მარში, **არმაზის ჰიმნი „კერპთა დამხობის“ ოპერიდან.**

დასასრულ დაიდგმება საუცხოვო აპოთეოზი ცხოველი სურათის სახით აღიმართება

— თავისუფალი საქართველოს ძეგლის პროექტი —

დასაწყისი შუადღის 12 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. ფასები ჩვეულებრივია. (3—1)

## უკანასკნელი ცნობები

დასავლეთის ასპარეზზე გერმანელები მოწინააღმდეგის იერიშებს იგერიებენ.

ვუაზერის ორივე მხარეზე სასტიკი ომები გრძელდება.

ბერლინში ვილჰელმის გადადგომას ჰფიქრობენ.

იასში მთავრობის წინააღმდეგ დემონსტრაციები იმართება.

სერბიაში აჯანყებას ელიან.

სოფიაში ბოლშევიკთა და მთავრობის შორის მომხდარ ბრძოლაში მოკლულია 3000 კაცი.

ლიბკნეხტი ციხიდან გაანთავისუფლეს.

გერმანია ლიტვას ადგილობრივ მთავრობას გადასცემს.

მილანში ჯარის კაცები საზავო დემონსტრაციებს ჰმართავენ.

დეკანოზი იოსები და ოლღა პავლეს ასული წერეთლები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ მათი უდროოდ დაკარგული უძვირფასესი შვილის

**ვერა ვარაზაშვილის**

მიცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება სოფ. ფხრუკვეთში მიცვალებულის საფლავზე, კვირას, ღვინობისთვის 27-ს, დილის 10 ს.

(3—1828—3).

ორშაბათს, 21 ოქტომბერს, ქ. თბილისში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა ნაფიცი ვექილი

**ლევან გიორგის ძე წერეთელი**

რასაც გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძმა მისი, ირაკლი წერეთელი, და ელენე დემოლონი და მისი აღზრდილი დეიდეები, ანასტასია და ეკატერინე ნიკოლაძეები.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე, მიცვალებულის ბინაზე, არტილერიის ქუჩა № 5. გამოსვენება იქიდამვე პარასკევს, 25 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაზე. დაკრძალვა ნაწირვებს დიდუბის სასაფლაოზე. (2—2)

ეფროსინე იაკობის ასული ჭიჭინაძისა შვილებით ბესარიონ და თამარით, აუწერელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 21 ოქტომბერს, ქ. თბილისში გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი დისწული და მეორეების საყვარელი დედიდაშვილი

**ლევან გიორგის ძე წერეთელი**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე მიცვალებულის ბინაზე (არტილერიის ქუჩა № 5). გამოსვენება იქიდამვე პარასკევს, 25 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაზე. დაკრძალვა ნაწირვევს დიდუბის სასაფლაოზე. (2—2)

ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე და ოლღა ალექსანდრეს ასული ნიკოლაძისა შვილებით რუსუდან, გიორგი და თამარით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 21 ღვინობისთვეს ქ. თბილისში წყნარად მიიძინა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ პირველ დისწულმა და უკანასკნელების მამიდაშვილმა

**ლევან გიორგის ძემ წერეთელმა**

(2—2)

ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭო აუწყებს კავშირის წევრთ და საზოგადოებას, რომ მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კავშირის სარევიზიო კომისიის წევრი

**მსახიობი სოსო ივანიძე**

ცხედარს გამოასვენებენ არამიანცის საავადმყოფოდან პარასკევს, 25 ოქტომბერს, დილის 10 საათზე წმ. მარინეს ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (1—1)

დიდათ დამწუხრებულნი: დედა ნინო, მეუღლე ნინო, ძმა პეტრე, რძალი ანნა, შვილები: გიორგი, თამარა, შალიკო და ირაკლი, სიძე ივანე თოდუა მეუღლით და შვილებით; აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**მსახიობი სოსო ივანიძე**

ცხედარს გამოასვენებენ არამიანცის საავადმყოფოდან პარასკევს, 25 ოქტომბერს, დილის 10 საათზე წმ. მარინეს ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება პეტრე პავლეს სასაფლაოზე: (1—1)

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა
**ალ. ასათიანის ნაწერი**
**მიწის საკითხი საქართველოში**
წინასწარი დაკვეთა შეიძლება „საქართველოს“ რედაქციაში. (10—7)

**მეორე ქართული კლუბი**
(ყოფილი ხარფუხისა. მიხეილის ქუჩა)
ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირას
საქველმოქმედო მიზნით გაიმართება (5—2)
**ლოტო**

**ქართული ლატარია**
**5.000,000 მან.**
**ქართულ უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოდ**
**პირველი მოგება 100,000 მანეთია**
ბილეთები იყიდება ყველგან, სადაც კი გამოცხადებულია. (10—8)

**სამხ. ტვრო სტუდია**
ლადია არგონავტოვ.
გოლოვინის პროსპექტი 10. სეზონი 1918—19 წ.

დღეს, XII ციკლის ახალი პროგრამმა.
1. „მიდასის სასამართლო“ კლასიკური ხუმრობა მთელი დამსწრე საზოგადოების მონაწილეობით, თხზ. ლოლოსი, რეპერტუარი „ლამურასი“ (პირველათ ტფილისში).
2. „სევდა“ შოპენის, ინსცენიროვკა.
3. „ჯონ-ბული“ ხორეოგრაფიული შარჟი.
4. „ნილი“ მუსიკა ლეროუსი.
5. „ანნა და სიუზანნა“.
6. „იტალიის სიმღერები“.
7. „ლადია არგონავტოვ“-ის პატე-ჟურნალი № 3.

ორკესტრს ხელმძღვანელობს თავისუფალი ხელოვანი თ. ს. კაცი, მონაწილეობენ ყოფილი სახელმწიფო თეატრის დირიჟორი ბ. ა. გესსი და ვიოლონჩელისტი ბენდიცკი.

სტუდიაში არის ამერიკანული ბარი.
დაიწყება საღამოს 8 საათზე. კასა გაღებულია 7 საათიდან. (2—2).

## ბ. ჟურულის ფინანსიური პოლიტიკა

წარსულ-სამშაფათს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებათა შტატები და ამის გამო ეროვნული დემოკრატიის წარმომადგენელმა ბ. ასათიანმა და ფინანსთა მინისტრმა ბ. ჟურულმა ვრცელი სიტყვები წარმოსთქვეს რესპუბლიკის საფინანსო პოლიტიკის შესახებ. საქართველოს „სალაროს კანცლერი“ დიდათ განცვიფრებული იდგა საპარლამენტო ტრიბუნაზე: მან ვერ გაიგო რას ნიშნავდა ოპოზიციის ორატორის სიტყვები, გაკიცხვას, რჩევას, დარიგებას თუ კიდევ სხვა რასმეს.—თუ ეს გაკიცხვაა, რაღა საჭირო იყო ბოდიშები, თუ ეს რჩევა და დარიგებაა, მაშინ კამათის კილო ზედმეტია ჩვენს შორისო, ასეთი იყო ბ. ჟურულის სიტყვის დედააზრი.

ეს განცვიფრება ადვილი ასახსნელია. საქართველოს პარლამენტში ზოგიერთი დეპუტატის წყალობით იმ თავითვე ახირებული ზნეჩვეულებები დამყარდა. დინჯი კამათის ადგილი დაუსაბუთებელმა ბრალდებამ და გინებამ დაიჭირა. სოციალდემოკრატ ორატორები გამოდიან და მოწინააღმდეგეებს ჰეინასა თუ კრილოვის იგავარაკების ცხოველებს ადარებენ. ამის შემდეგ გასაკვირალი არ არის, რომ ბ. ფინანსთა მინისტრი ოპოზიციის წარმომადგენლისაგან კბილთა ღრჭენასა და მაგარ სიტყვებსაც ელოდა და სახტად დარჩა, როცა დალაგებულ რიტიკასთან ერთად გასამართლებელი საბუთებიც მოისმინა.

საქმე იმაშია, რომ ოპოზიციას, რასაკვირველია, ძალიან კარგად ესმის მთავრობისა და კერძოდ ფინანსთა უწყების მძიმე მდგომარეობა. ბ. ჟურულისაგან სასწაულმოქმედებას არავინ ელის. ხუთიოდე თვის განმავლობაში შეუძლებელია მოწესრიგებული ფინანსიური მეურნეობის შექმნა; განსაკუთრებით საქართველოში, სადაც საწარმოვო ძალები განუვითარებელია და მეურნეობა, ინდუსტრია და აღებმიცემობა პირველყოფილ მდგომარეობაში იმყოფება.

მაგრამ ბ. ჟურულს ოპოზიცია აბრალებს არა იმას, რომ მან ღარიბ საქართველოს შეერთებული შტატების ან თუნდ შვეციის და ნორვეგიის ფინანსები არ მისცა, არამედ იმას რომ მას არ აქვს მტკიცე და გარკვეული ფინანსიური პოლიტიკა. ბონების ბეჭდვა, რასაკვირველია, შეიძლება ფინანსიურ პოლიტიკის წარმოებად ჩაითვალოს. ფინანსთა მინისტრის მთავარი პოლიტიკური შეცდომა იმაში იყო, რომ ის სრულიად უპირობოდ შევიდა სოციალისტურ სამინისტროში. ეს შეცდომა პირველშობილ ცოდვასავით აწევს ბ. ჟურულს. მთელს კაბინეტში ის ერთად ერთია არა სოციალისტი. სოციალისტურ უმრავლესობასთან მას მოლაპარაკებაც არ გაუმართავს: არ წარუდგენია განსაზღვრული პლატფორმა, რომლის დაცვა კოალიციის აუცილებელი წინასწარი პირობა უნდა ყოფილიყო. ის მიწვეულ იქმნა „პერსონალურად“, თანხმობა განაცხადა ასეთ მიწვევაზე და გასაკვირელი არ არის, რომ დღეს რესპუბლიკურ მთავრობაში გარკვეულად მაინცა და მაინც არც მისი „პერსონის“ რელიეფი სჩანს და არც მისი პოლიტიკის ხაზი.

დღეს მეტის მეტად ძნელია პერსონალური პოლიტიკის წარმოება ჩვენ გვწამს, რომ ბ. ჟურული, როგორც პიროვნება, არ ჩამორჩება თავის თანამშრომლებს სოციალისტურ კაბინეტში. შეიძლება მას მეტი იდეებიც ჰქონდეს, ვიდრე მის რომელიმე მემარცხენე ამხანაგს. მაგრამ დღეს პოლიტიკას ჰქმნიან არ მარტო იდეური, არამედ უმთავრესად დიდი სოციალისტური ძალები, სოციალისტი მინისტრები ასეთ ძალებს ეყრდნობიან, ბ. ჟურული კი სრულიად განმარტოებული სდგას თავისი ფინანსიური მოსაზრებებით. როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტში ბ. ფინანსთა მინისტრს არც ერთი პოლიტიკური პარტია არ უჭერს მხარს.

რასაკვირველია, ბ. ჟურულს კარგად ესმის, რომ შეუჩერებლივ ბონების ბეჭდვა საფრთხეს უმზადებს არა მარტო სახელმწიფო ფინანსებს, არამედ მთელ ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას, ბ. ფინანსთა მინისტრს ალბათ კარგად ახსოვს, რომ წინათ პეტროგრადის ექსპედიცია თბილისის სახელმწიფო ბანკს ყოველ წლიურად ათ მილიონ მანეთს უგზავნიდა და ეს თანხა მთელ კავკასიის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში კი თბილისში თითქმის ნახევარი მილიარდი მანეთის ბონი დაიბეჭდა და შეიძლება ამ თანხის ორი მესამედი პატარა საქართველოს ტერიტორიაზე ტრიალებდეს. ბ. ჟურული პოლიტიკური ეკონომიის ლექციებიდან გაიხსენებს აგრეთვე იმ ჭეშმარიტებას, რომ ფული არსებითად საქონელია და მისი ღირებულება მოწოდებისა და მოთხოვნილების ურთიერთობაზეა დამოკიდებული. საქართველოში უკანასკნელ დროს აღებ-მიცემობა იმდენად ინტენსიური არ გამხდარა, რომ ჩვენს ბაზარს ნახევარი მილიარდი მანეთის შესრუტვა შეეძლოს. ბ. ჟურულს შესანიშნავად ესმის, რომ ზედმეტი ბონების გამოშვება იწვევს ცხოვრების გაძვირებას, სურსათის გადამალვას, ეკონომიურ არევ-დარევას. მაგრამ რა უნდა ჰქნას ბ. ფინანსთა მინისტრმა იმ პოლიტიკურ პირობებში, რომელშიც მას დღეს მუშაობა უხდება?

უწინარეს ყოვლისა ბონების ამოწურვაა საჭირო. ეს შეიძლება დარჩენილი გადასახადის აკრეფით, ახალი გადიდებული ტარიფის შემოღებით, ბონების გაბათილებით, შინაური სესხის გამოშვებით, ჩამორთმეული მამულების გაყიდვით და სხ. როგორც სჩანს, ეს იდეები ხშირად ეწვევიან, შეიძლება კიდეც ჰქენჯნიან ბ. ფინანსთა მინისტრს. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ მას გვერდით სოციალიზმის თორმეტი მოციქული უზის. ეს ადამიანები ქართველ გლეხობას გადასახადების შემსუბუქებას, მიწის უფასოდ დარიგებას და სხვა ამქვეყნიურ სიკეთეებს შეჰპირდნენ. ბ. ჟურულს იმდენი „პერსონალური“ ძალა არ ექნება, რომ სძლიოს სოციალისტური კოლეგიის წინააღმდეგობა.

დღეს საქართველოში შესაძლებელია მხოლოდ ან სოციალისტური ან ნაციონალ-დემოკრატიული ფინანსიური პოლიტიკის წარმოება. ბ. ჟურულის უბედურება იმაშია რომ ნიადაგი აღარ არის მესამე შესაძლებლობისთვის.

გერონტი ქიქოძე.

## ახალი საფრთხე

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა და წინააღმდეგობისა, რომელთა შორის შინაურ მიზეზებს უმნიშვნელო ადგილი არ ეჭირათ, საქართველოს პოლიტიკური თვითარსებობა მაინც სინამდვილედ იქცა და 117 წლის განმავლობაში გადუშლელი „ქართლის ცხოვრება“ კვლავ აღნიშნავს საქართველოს ხალხის სახელმწიფოებრივ ყოფა-ცხოვრებას.

დამოუკიდებლობის პირვანდელი ხანა ისეთს მოვლენებს შეიცავდა, რომელშიც უნდა საზარალოდ ჩაითვალოს რესპუბლიკის სუვერენობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დამკვიდრებას ხელს მრავალნი უშლიდნენ, ხოლო მოკეთეთა რიცხვი ფრიად ნაკლები იყო. საბედნიეროდ,

დამხმარე ფაქტორად ქართველი ხალხის ისტორიული და პოლიტიკური გამოცდილება და ტრადიცია აღმოჩნდა, გერმანიის გულწრფელი თანაგრძნობითა და სათანადო მოქმედებით გამაგრებული. ამ უტყუარი საშუალებათა შეოხებით ქართველობამ შესძლო შედარებით უმტკივნეულოდ განევლო პირველი ეტაპი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა.

საქართველოს დამოუკიდებლობა მძიმე დროს გამოცხადდა: ბოლშევიკური და მაქსიმალისტური ტალღა რუსეთის რევოლუციისა საგრძნობლად აწუხებოდა ჩვენს ქვეყანას და აფერხებდა მის წესიერ განვითარებას; ამიტომ პროცესი განთავისუფლებისა აღსავსე იყო დამრღვევ მოვლენებით, რომელთა სათავეშივე მოსპობა საქართველოს მთავრობის უწმიდეს მოვალეობას შეადგენდა.

რას საჭიროებდა პირველ ყოვლისა მონობის მძლეველი საქართველო? მტკიცე და ურყევი ადმინისტრატიული აპარატის მოწყობას და რკინის დისციპლინით შედუღებულს პატრიოტიულისა და მამაც მუდმივ ჯარის შექმნას.

რა გაკეთდა ამისთვის, ჩვენ ამ წერილში არ შევეხებით, ხოლო იმისი თქმა-კი შეგვიძლიან, რომ საქართველოს რესპუბლიკის სისუსტე დღეს განსაკუთრებით შესაფერ ადმინისტრაციისა და რეგულიარული ჯარის უყოლობაში გამოიხატება. აქეთკენ უნდა მიიპყრას მთელი ქართველი ერის გულის-ყური და ნების-ყოფა! დღე-მუდამ და ყოველს ჯვარედინზე უნდა ვიძახდეთ, რომ მხოლოდ ჯარი იხსნის ჩვენი რესპუბლიკის არსებობას, მის ტერიტორიის მთლიანობას!

საქართველოს მოშურნეთა და მოწინააღმდეგეთა რიცხვი დღითი-დღე მრავლდება და ძლიერდება!

რესპუბლიკა საფრთხის წინაშე სდგას.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დღიდგან ჩვენი თავისუფლების აღიარებისა, არ გვქონია მყუდრო დღე, არ ყოფილა ჟამი შეუშფოთველობისა და უშიშროებისა. სახელმწიფოს საზღვრების ყოველს მხარეში გამოგვიცდია მტრების მუხანათური და აგრესიული მოქმედება.

ურიცხვი მოპირდაპირენი ჯერ ხნობით ყველა პუნქტებში ძლეულ იყვნენ საქართველოს მცირე, მაგრამ მხნე და თავდადებული მხედრობის მიერ. დღეს საფრთხე მოგველის სრულიად მოულოდნელი მხრიდან. საქართველოს ემუქრებიან იქიდან, საიდანაც ყველაზე ნაკლებ უნდა ყოფილიყო პრეტენზიების გამოცხადება.

გაჭირვებული მდგომარეობა და დაუმთავრებელი უწესოებანი შიგნით სასოწარკვეთილებით ვერ შეჰბოჭვენ საქართველოს ერთგულ მოქალაქეთ! რესპუბლიკის დასაცავად ქართველი ერის ყველა ნაწილი პირველს მოწოდებაზედვე თოფს ქვეშ დადგება. ამ მხრივ ჩვენ სრულიად დაიმედებულნი ვუცქერით მიუთხრობელ მომავალს და გვჯერა, რომ სახელოვანი საქართველოს ლაშქარი ღირსეულად მოიხმარს ძველად ნაცად იარაღს ყველა მტრების წინააღმდეგ განურჩევლად.,.

ჩვენ ჯერ კიდევ ვფიქრობთ, რომ საქართველოს სამხრეთ საზღვრებზე მომხდარი ამბები არის სეპარატიული მოქმედება უპასუხისმგებლო ავანტიურისტებისა, რომელთაც ესოდენ ხნის განმავლობაში ქარაფშუტული გამოსვლებით აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენეს თავის ხალხს! გასაოცარი იქნებოდა, მეტი რომ არა ვთქვათ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ვერაგულად ხელი ასწიონ მათ, ვისაც ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფო, მათი წარმომადგენლებისავე სიტყვით, „ბედნიერ ოაზისად“ მოევლინა იმ დროს, როდესაც მრისხანე და დაუნდობელი მტრის ცეცხლი ავერანებდა გაძვალტყავებულ ქვეყანას.

საქართველოს სამხრეთ სანაპიროზე მომხდარი უგვანო საქციელი ჩვენ გვინდა მივაწეროთ სწორედ იმ პოლიტიკურ ჯგუფს, რომლის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი „ნიჭი“ უბრალო შეთქმულებებსა და ღალატს არ გასცილებია აროდეს.

ხოლო თუ ეს მოვლენა შეიცავს უფრო „ღრმა“ აზრს და ააშკარავებს მთელი ხალხის დაუფარავ განზრახვას, მაშინ საქართველოს სახელმწიფო გამონახავს უებარ საშუალებას ერთხელ და სამუდამოთ აღკვეთოს სამხრეთ მეზობლის ახირებული პრეტენზიები და მიუკუთვნოს მას ის საზღვარი, რისი გადმოლახვა შეიძლება საბედისწერო გამოდგეს ამ ხალხის სახელმწიფოს მომავლისათვის.

რ. ინგილო.

## პრესსა

**„ერთობა“ სომხებზე.**

„ერთობა“ 228 ნომრის მეთაურში ეხება სამხრეთ საზღვრებზე მომხდარ ამბებს, აღნიშნავს ორმაგ პოლიტიკას სომხის ხალხის ხელმძღვანელ პარტიისას და საფართლიანად დასძენს:

„სომხის დაშნაკელები... ეს ორპირი და ორგული პარტია მუდამ ორმაგ პოლიტიკას აწარმოებს, ყველას ებრძვის და ყველას ელაქუცება, ყველას ემეგობრება და ყველას ღალატობს. უკანასკნელ ამბებზე ეს განსაკუთრებით ნათლად გამოაშკარავდა.

საქართველოში სომხეთის ქვეშევრდომი ნახევარი თუ არა, მესამედი მაინც არის თავშეფარებული, აქედან უნდა გვეფიქრა, რომ სომხეთი ამის შემდეგ ყველაზე ერთგულ და მეგობრულ განწყობილების მატარებელი იქნებოდა ჩვენი. მაგრამ დახეთ... არ ვიცით, რა სახელი ვუწოდოთ ასეთ მეზობლობას, როცა ჩვენი საზღვრების შესახებ ისინი... ოსმალეთს უთანხმდებიან...

ოსმალეთი და სომხეთი... წარმოგიდგენია მკითხველო ასეთი კომბინაცია? ოსმალეთი და სომხეთი საქართველოს წინააღმდეგ, მისი დემოკრატიის წინააღმდეგ.

ჩვენ გვესმის ოსმალეთის ზრახვა— მისთვის დემოკრატიულ მეზობლის დამხობა ისტორიული მისწრაფებაა.

მაგრამ სომხეთის დაშნაკელთათვის? ოსმალეთი ხომ მათ თავზე ხელს არ მოუსვამს. განა არა იციან; ვერ ამჩნევენ, რათ უთანხმდება მათ ოსმალეთი ჩვენი საზღვრების შესახებ? განა ასეთ პროვოკაციის ანკესზე წამოგება ეს განზრახ ამ პროვოკაციაში ფეხის ჩაბიჯებას არ ნიშნავს?

გაზეთს ავიწყდება სომხის დაშნაკელების ერთი თვისებაც: ეს პარტია ეშმაკსაც დაუმეგობრდება, თუკი ამგვარ კომბინაციით საქართველოს რამეს აზნევს.

ერთს-კი ვურჩევთ „ერთობას“-ს: ეს ამონაწერი დაუგზავნოს ს.-დ.-ულ საპარლამენტო ფრაქციას სახელმძღვანელოდ, რომ ეროვნულ-დემოკრატების წინააღმდეგ გამოლაშქრებისას არ იმოწმებდენ „სომხის დემოკრატიის“ წარმომადგენლებს...

## მთავრობის წრეებში

**მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის გარდაქმნა.**

იუსტიციის სამინისტროს შეკითხვაზე, სად განხორციელდა საერობო რეფორმა, შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მიღებულია პასუხი, რომ სამაზრო საერობო გამგეობანი უკვე შემდგარა სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისის, თელავის, სიღნაღის და შორაპანის მაზრებში.

ამისდაკვალად, ხსენებულ ერობათ გაეგზავნათ მიწერილობა, რომ დაუყოვნებლივ აირჩიონ მომრიგებელი და საპატიო მოსამართლენი ახალ კანონის თანახმად.

**ადერბეიჯანის მთავრობისთვის საქმეების გადაცემა.**

თანახმად იუსტიციის მინისტრის განკარგულებისა, ტფილისის სასამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ გადასცა სათანადო აქტის შედგენით ადერბეიჯანის მთავრობის წარმომადგენელს აბას-ალიბეგ მაკინსკის ტფილისის სასამართლო პალატაში წარმოებული და დღემდე დაუსრულებელი საქმეები, რომლებიც შემოსული იყო პალატაში ბაქოს და განჯის საოლქო სასამართლოებიდან.

**საგანგებო გამოძიება.**

ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრმა ი. კობიაშვილმა, რომელსაც საგანგებოდ დავალებული ჰქონდა ალბულახის რაიონში და სოხუმის ოლქში მომხდარ ამბების გამოძიება, წარმოუდგინა იუსტიციის მინისტრს მოხსენება აღნიშნულ ამბების შესახებ.

**ქართულ ენის კურსები.**

ტფილისის ოლქის სასამართლოს ახლად დანიშნულ ბრალმდებლის მ. ა. ტატიშვილის თაოსნობით და იუსტიციის მინისტრის შ. ვ. ალექსი-მესხიშვილის დასტურით არსდება 6 თვიანი კურსები ქართულ ენის შესასწავლად სასამართლო უწყების მოხელეთათვის.

**თათბირი საქართველოს სენატის დაარსების შესახებ.**

იუსტიციის სამინისტროსთან დაარსდა მინისტრის ამხანაგის გ. ი. გველესიანის თავმჯდომარეობით საგანგებო კომისია საქართველოს სენატის დებულების შესამუშავებლად.

კომისიამ უკვე დაასრულა პრინციპიალურ დებულებათა განხილვა, რომლებზედაც უნდა აშენდეს საქართველოს უზენაესი სასამართლო დაწესებულება. დაწვრილებითი დებულების შემუშავება გადაეცა ხუთის კაცისაგან შემდგარს მცირე კომისიას, რომელმაც თვისის მხრივ კვლავ დაასრულა მუშაობა და შემუშავებული პროექტი სენატის დებულებისა უკვე გადასცა კომისიის თავმჯდომარეს. ამ დღეებში მოწვეული იქნება კომისიის პლენუმის სხდომა პროექტის უკანასკნელ რედაქციის განსახილველად, რის შემდეგ სათანადო კანონ-პროექტი წარედგინება მთავრობას პარლამენტში შესატანად. კომისიის საქმიანობას სარჩულად ედო დ. ი. უთნელიშვილის მიერ შემუშავებული პროექტი სენატის დებულებისა.

**ხათერმინოლოგიო კომისია.**

მინისტრის ამხანაგის გრ. ი. გველესიანისავე თავმჯდომარეობით სწრაფად მუშაობს სამინისტროსთან მეორე კომისიაც, რომელსაც დავალებული აქვს უსაჭიროეს იურიდიულ ტერმინების გამორკვევა, დაბეჭდვა და სასამართლო მოხელეთათვის დარიგება. კომისია ახლო მომავალში დაასრულებს საქმიანობას, კომისიაში მოწვეულნი არიან ქართულ ენის საუკეთესო მცოდნენი.

**საკოდიფიკაციო განყოფილება.**

თანახმად საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონისა, იუსტიციის სამინისტროსთან არსდება საკოდიფიკაციო განყოფილება, რომლის მიზანია, სხვათა შორის, კანონთა დამთავრების ზოგადის ხასიათის განკარგულებათა შეგროვება და გამოქვეყნება ოფიციალურ ორგანში. უკანასკნელი პერიოდიულად გამოვა.

## საპარლამენტო ქრონიკა

**იურიდიული კომისია.**

კომისია უკანასკნელ სხდომებს ანდომებს სახელმწიფო კონტროლიორის ბ-ნ ფილიპე გოგიჩაიშვილის მიერ შემოტანილს: „დებულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საგანთათვის“ განხილვას.

ყველა სხვა ღირსებასთან ერთად ეს „დებულება“ იმით განირჩევა სხვადასხვა უწყებების კანონპროექტებისაგან, რომ მშვენიერ ქართულ ენაზეა დაწერილი.

საერთო თეზისები იურიდიულმა კომისიამ თითქმის უცვლელად მიიღო.

იურ. კომისიაში განხილვის შემდეგომ, დებულება გადაეცემა საფინანსო საბიუჯეტო კომისიას ხარჯთ-აღრიცხვისა და შტატების დასამტკიცებლად.

იურიდიულ კომისიაში ამას წინად გაიმართა თათბირი ანანოვისაგან ჩამორთმეულ მამულების თაობაზე. კომისიის სხდომებს ესწრება ანანოვის ინტერესების დამცველი პეტერბურგელი ნაფიცი ვექილი ცნობილი სოც.-დემოკრატი ნ. სოკოლოვი. შემდეგი თათბირი დანიშნულია პარასკევს, 25 ღვინობისთვეს საღამოს 7 საათზე.

## ქრონიკა

### თბილისი.

ქალაქთა კავშირმა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს ჯამალიანს სთხოვა 700,000 მან. ასესხოს კავშირს; სამაგიეროდ დაჰპირდა სომხეთს მიჰყიდოს კავშირის ქონების ნაწილი. ჯამალიანი შეეკითხა საქართველოს მთავრობას, როგორ შეხედავს ის საქონლის ყიდვას და მისცემს თუ არა საქონლის გაზიდვის ნებართვას და ხაზი გაუსვა, რომ ეს საქონელი ლტოლვილებს მოხმარდება.

მანთაშევის სახლში მოთავსებულ სომხეთის სამხედრო ქონების დაცვა „ქართულ-გერმანულ ლეგიონერებს“ გადაეცათ.

**შაქრის ფასი.** მცხოვრებათათვის შაქრის დარიგების დაწყებისთანავე დეზერტირების ბაზარზე შაქრის ფასი 22—25 მანეთიდან 16-მდე დაეცა.

**თბილისის საინჟინერო უმაღლესი კურსები.** წასულ კვირას დაიწყო მეცადინეობა უმაღლეს სპეც. სასწავლებელთა უფროსი სემესტრის სტუდენტთათვის. უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე მოწვეულ იქმნა მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ - დოცენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ა. ი. რაზმაძე, მექანიკის თეორიისა — გაიდელბერგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, თეორეტიული მათემატიკის დოქტორი გ. მ. ხარაზოვი. საამშენებლო მექანიკას ასწავლის საზღვაო აკადემიის ორდ. პროფ. ვ. ვ. ლუკინი. არქიტექტურას და საარქიტექტურო პროექტებს მოსკოვის ინსტიტუტის პროფესორი ინჟენერი ა. ნ. ღუროვი. სასწავლებლის საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულია ვ. ვ. ლუკინი. კურსებზე სწავლა სწარმოებს კადეტთა კორპუსის შენობაში, სადაც უკვე მოწყობილია აუდიტორია და სხვა დაწესებულებები. პირველ კურსებზე 10 ვაკანსიაა. უფროსი სემესტრის სტუდენტების ჩაწერა გრძელდება.

გამოვიდა „თეატრი და ცხოვრების“ მორიგი მე (№ 14) ნომერი. ჟურნალი მრავალი სურათებით არის შედგენილი და ღირს 2 მან.

## საქართველო-სომხეთის უთანხმოება

### მთავრობის ცნობა

ღვინობისთვის 19 მთავრობას აცნობეს, რომ სომხეთა რეგულიარულ ჯარებმა ქობერსა და საზღვარზე მყოფ ხიდის შუა და სანაინის ახლო-მახლო ადგილები (ბორ[illegible]) დაიპყრეს და მიუხედავად ამ ადგილებში მდგარ გერმანულ ჯარის უფროსის მოთხოვნილებისა საქართველოს ტერიტორიის დაცლის შესახებ, განაგრძობენ წინსვლას, როგორც საზღვარს აქეთ, გერმანელების რაზმის წამოსვლის შემდეგ, ისე კიდევ იქით, ოსმალთა წასვლის შემდეგ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა იმავე დღეს სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოში, ჯამალიანს ნოტა ჩააბარა, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს მთავრობა მზადაა მშვიდობიანობის გზით, როგორც ყოველთვის, შეთანხმებით გადასწყდეს საკითხი საზღვრების შესახებ მეგობრულ სომხეთთან, მაგრამ რაკი ჯერ ასეთი შეთანხმება არ მომხდარა, თბილისის გუბერნიაში სომხურ ჯარის შემოსვლა ჩაითვლება საქართველოსადმი სომხეთის მიერ ჩადენილ მტრულ აქტად.

ამას საპასუხოდ სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელმა ჯამალიანმა იმავე დღეს საქართველოს საგარეო მინისტრის ამხანაგთან პირადად შეხვედრის დროს განუცხადა მას, რომ ბორჩალოს მაზრის სადავო ადგილების დაპყრობა ხდება ოსმალეთის მთავრობასთან შეთანხმებით.

ამავე დროს საქართველოს მთავრობის დადგენილების ძალით სამხედრო მინისტრის მიერ მიღებულ იქმნა შესაფერი ზომები საქართველოს საზღვრების დასაცავად.

სანაინისკენ გაგზავნილ ჯავშნიან მატარებლის უფროსმა ღვინობისთვის 20 გვაცნობა, რომ დებედე-ჩაის ხიდი, ს. ქობერსა და ყალაგერანის შუა, ჩვენს მხარეზე სომხურ ჯარის მიერ იყო დაპყრობილი. იმან ულტიმატუმი წარუდგინა ჩვენი ტერიტორიის დაცლის შესახებ, რაც სომხებმა შეასრულეს.

ღვინობისთვის 21 ჯამალიანმა საგარეო საქმეთა მინისტრს აცნობა, რომ ნოტა გაუგზავნა თავის მთავრობას და ამასთანავე იმედი გამოსთქვა, რომ ორივე რესპუბლიკის მთავრობათა მისწრაფება, მეგობრულ დამოკიდებულებათა გამტკიცებისადმი მიმართული დაუყონებლივ დაამყარებს შეთანხმებას ორივე ძმურ ხალხთა შორის.

ღვინობისთვის 23 სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის კაჩაზნუნისაგან მიღებულ იქნა დეპეშა, რომელშიაც გვაცნობებდა,, რომ ქართულ ჯარის უფროსმა ულტიმატუმი წარუდგინა სომხებს სად. შაგალის დაცლის შესახებ , რომ სომხურ რაზმს ნაბრძანები აქვს არ დასცალოს ეს სადგური,—გვთხოვდა ქართული ჯარი დაგვეკავებია იმ ადგილებზე, რომელიც მას დღეს უჭირავს, ხოლო საზღვრების საკითხი მშვიდობიანის გზით იქნეს გადაწყვეტილი.

ამის საპასუხოდ მთავრობის თავმჯდომარის მაგივრად სამხედრო მინისტრმა იმავე დღეს შეატყობინა კაჩაზნუნს, რომ საქართველოს მთავრობა თანახმაა, მშვიდობიანის გზით შეთანხმების დამყარებაზე, რის საკით-

---

## „მენშევიკები“ და ხელოვნება.

ოქტომბრის რევოლიუცია რუსეთში წელიწადს მივიდა. გაზეთების ცნობით პეტერბურგში და მოსკოვში ემზადებიან საზეიმო დღესასწაულისათვის. გამზადებულია აუარებელი ძეგლები დასადგომათ: რობესპიერიდან დაწყებული—ლენინამდე,— საუკეთესო ოსტატებისგან ჩამოსხმული, პოეტ ალექსანდრე ბლოკს მიენდო დასწერის ტექსტი იმ ოპერის, რომელიც უნდა დაიდგეს იმ დღეს, და „ბალაგანის“ ავტორი ალბათ გამოიყენებს ამ შემთხვევას.

საინტერესოა ბოლშევიკების მოპყრობა ხელოვნებისადმი. ამ წლის განმავლობაში ყოველ მხრივ მხოლოდ ისმოდა ბოლშევიკების „ბუნტზე“ ყვირილი, რომ მოვიდა შეიარაღებული ბრბო ავაზაკების და ნაძირალების, რათა მოსპოს კულტურა—ამაში ბევრი დაარწმუნეს კიდეც.

სხვა კითხვაა, როგორ გამართლდა ბოლშევიკების პროგნოზი. ყოველ შემთხვევაში მათ უფლება შეინახეს უკვე ერთი წელი და შეიძლება აწიც დიდხანს იდგენ სათავეში. ბოლშევიკებს ჩამოშორდა მხოლოდ ერთი ნაწილი მენშევიკების და ესერების— აგრეთვე ყველა მონარქისტი, მაგრამ ნამდვილი რუსეთი შეიკრა ერთი იდეით – ბოლშევიზმი ჯერ-ჯერობით გამარჯვებულია არ უნდა თქმა, რომ ბოლშევიზმი გაშორდა მარქსიზმს, რომ იმაში არის ახალი განათება, აქ მა რთალი არიან მათი მოწინააღმდეგენი, მაგრამ ბოლშევიკებიც არ უარყოფენ ახალ კომინისტურ ერის დაწყებას მათ მიერ—ისინი საკმაოდ დარწმუნებულნი არიან თავიანთ თავში, რომ ასეთ ნოველლებს შეუშინდენ. **ყველა, ვინც რუსეთში მოელოდა ახალ გადატეხას, და რომელნიც გრძნობდენ რევოლიუციის პათოსს, დღეს ბოლშევიკებთან არიან:** ობუხოვის და პუტილოვის ქარხნის მუშები, ლატიშელი ჯარის კაცები და მატროსები არ ღალატობენ დაწყებულ საქმეს და ბოლშევიკებმა ხელოვნებაშიაც იშოვეს ახალი მეგობრები: ანდრეი ბელი, ალექსანდრე ბლოკი, ვალერი ბრიუსოვი, მიხეილ კუზმინი, მთელი სკოლა რუსეთის ფუტურისტების ბოლშევიკების მომხრეა, უკანასკნელ ხანს მათკენ გადაიხარა ძველი დოქტრინიორი მაქსიმ გორკიც... საიმპერატორო თეატრები გადაკეთდენ სახელმწიფო თეატრებათ, და ათასს კრიზისის დროს მხოლოდ მხატვრები და არტისტები არ არიან მოკლებული მთავრობის მზრუნველობას, გამოცხადდა მონოპოლია გამოცემებზე პუშკინიდან დაწყებული ბლოკამდე, ამ გამოცემებს საუკეთესო სპეციალისტები ჰყავთ მიჩნეული და უკვე გამოვიდა რამდენიმე სერია—მუშების კლუბებში ყოველ დღე იმართება ლექციები, სადაც გამოდიან განათლების მინისტრი ლუნაჩარსკი ახალგაზდა პოეტებთან ერთად. ლენინისთვის ადამიანი მატემატიკური კატეგორიაა, იმას შეუძლია და ჰქმნა კიდეც არ დაზოგოს არავინ, როცა იწყება ახალი გადატეხა და მსხვერპლია საჭირო, მაგრამ როგორც სჩანს, მას მაინც დარჩენილი აქვს პატივისცემა ხელოვნებისადმი.

ჩვენ ეხლა არ გვაინტერესებს ბოლშევიზმის ისტორია და ეს ისტორია, რომ დაწერილიყო კიდეც პანეგერიკი არ იქნებოდა, მაგრამ ზოგი რამის მოგონება მაინც საჭიროა ზოგიერთ ანალოგიებისთვის ჩვენი მმართველ პარტიის დასახასიათებლათ.

საქართველოში და ამიერ კავკასიაში რევოლიუციის პირველ დღეებიდან უფლება ს. დ. მენშევიკების ხელშია, რა გააკეთეს ამ ხალხმა, ერთხელ მაინც საჭიროა, ამ კითხვის დაყენება.

პირველათ ისინი რუსეთში იყვნენ, საუკეთესო მათგანი მაინც, და იქ აკეთებდენ ვითომ რევოლიუციას. რევოლიუციის გაკეთება „გაღრმავებას“ უდრიდა, მაგრამ გაღრმავებული რევოლიუცია შემდეგ უკიდურესმა რევოლიუციონერებმა ჩაიგდეს ხელში, მაშინ ისინი საქართველოზე არ ფიქრობდენ, შინ დატოვებული მენშევიკებიც ყოველთვის გზაში იყვნენ პეტროგრადისკენ და საქართველო ბლუზიან პროპაგანდისტების ხელში იყო ჩაგდებული, ეს იყო დიქტატურა „კოოპერატორების“ და ბლუზიანი პროპაგანდისტების. ყოველი მაღალი სიტყვა საქართველოზე მიმართული მათში იწვევდა აღელვებას და კარგათ მახსოვს როგორ მალავდენ საზღვარ გარეთიდან ჩამოსულ ერთ მაღალ პატრიოტს მენშევიკებისაგან, ის ისე დაბრუნდა უკან რომ ტფილისში ქუჩაში არ გაუვლია.

რევოლიუციის დაწყებიდან ქართველი პატრიოტების ერთი ზრუნვა იყო ეროვნული ჯარის შედგენა, რომელსაც შეეძლო გაემართლებია და დაეცვა საქართველოს თავისუფლება—მენშევიკები ამის წინააღმდეგი იყვნენ ყოველთვისა—თვითონ შეადგინეს რკინისგზის კონდუქტორებისაგან წითელი გვარდია და როცა საჭირო იყო გარემოცული სამშობლოს დაცვა, თავისიანებისვე თქმით ეს გვარდია უკან მორბოდა—ამან და ბევრმა სხვამ მიგვიყვანა ბათუმის დამარცხებამდე.

გარემოცული საქართველო ოსმალების ამოჟლეტისაგან გერმანიამ იხსნა თავდადებულ პატრიოტების გაპირებით და დაჟინებით—მენშევიკები აქაც სათავეში ჩადგნენ და თავიანთ საქმეთ გამოაცხადეს საქართველოს თავისუფლება, რომელსაც ებრძოდენ უკანასკნელ წამებამდე.

26 მაისის შემდეგ ნახევარი წელიწადია—ეს დრო დაწყნარებული მუშაობის დრო იყო, და რა გაკეთდა ამ დროს? თუნდა იმ სფეროში, რომელიც ყველაზე უფრო უახლოვდებოდა კულტურას, და რომელშიც ბევრი გააკეთეს თვით რუსის ბოლშევიკებმაც-კი, რომელთაც წინ სხვა მიზანი ქონდათ. სოციალურ რევოლიუციის გაკეთება?..

აქამდის მოედნები სავსეა რუსეთის თვითმპყრობელობის დროის დარჩენილ ნაშთებით, რუსეთში უკვე ჩამოხსნეს ის რაც აგონებდა ძველ რუსეთს, ვისთვის იყო ისე მწარე მოსაგონარი ძველი რუსეთი, როგორც საქართველოსთვის—მაგრამ ამ ნაშთებისთვის ხელი არავის უხლია?.. ახალი ძეგლების დადგმაზე, ვინ იტყვის რამეს?

დაუვიწყარია საქართველოს პარლამენტისთვის საქართველოს გერბის ისტორია, მხოლოდ შემთხვევით მოხდა, რომ ქართული გერბი არ გახდა სასაცილოთ.

რევოლიუციის დაწყებიდან საქართველოში წიგნი არ გამოსულა; იმის გარდა თუ ხანდისხან ს. დ. რომელიმე მწერლის გაზეთის „ოტისკი“ არ გაკეთდებოდა ბროშურათ, თუ ლუნაჩარსკი მაიაკოვსკისთან ერთათ გამოდის მუშების წინ ლექციების საკითხავათ მენშევიკების პროპაგანდისტები პროვინციებში უკრძალავენ მოდერნისტ პოეტს ლექციის წაკითხვას და პოეზიის საღამოს მოწყობას, იმ რეზონით, რომ ხალხი მოსცდება პოეზიის გამო რევოლიუციას. როცა ეს ოქმი ქუთაისის მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეს აჩვენეს, იმას ეს მაინც არ გაკვირვებია, ყოველ შემთხვევაში საყვედური არავის მიუღია.

წიგნების გამოცემისთვის საჭირო მასალის მონოპოლია აქვთ მენშევიკებს. მალე გამოვა ალბათ ჰუმორისტული ჟურნალი მენშევიკების, საინტერესოა რას ნახავს სხვებში ჰუმორისთვის ეს ჟურნალი თუ თავისგდება არ დაიწყო ჩვეულებრივ. არასდროს არ ყოფილა ასეთ მდგომარეობაში ქართველი მწერლები და არტისტები, როგორც დღეს, პირადი თავმოყვარეობა ბევრს უშლის პირდაპირ შიმშილზე, რომ იყვიროს, რასაკვირველია ვინც არ მოასწრო მენშევიკების ფავორში შესვლა. ამ მოარალური სპეკულიანტობაზე ნაკლები არ არის ნამდვილი სპეკულიანტების გაჩენა ამ წრეში, რაც სამარცხვინოთ უკვე ფაქტია.

თუ რუსეთში არ არის ხელოვნების კრიზისი—ეს ინერციის ბრალია, რადგან მანამდი იყო იქ მხატვრული შეგნება მაღალი და საქართველოში კი კულტურული ფონი არ ყოფილა მანამდისაც, მაგრამ ბევრი სრულიად ახალი დაწესებულება იქმნება დღეს საქართველოში, დღეს აუარებელი ფული იხარჯება შედარებით სუბსიდიების სახით სხვადასხვა საქმეებზე და ხელოვნებაზე არაფერი. ქართული პარლამენტი მენშევიკების გაპირებით რამდენიმე ათი-ათას მანეთს აძლევს რუსების ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტს, ქართული უნივერსიტეტისთვის კი იმართება ლატარეია, რომ ამდენივე ფული მათხოვრობით შეიკრიბოს, და მენშევიკების ორატორები პატივისცემის მაგიერ უნიჭოებს ეძახიან ქართველ პროფესორებს.

მერე ვინ მისცა მათ ნება ნიჭზე ილაპარაკონ?

სასწაულით უკან დავიბრუნეთ ჯავახეთი, იმედი არის ბათუმიც დაგვიბრუნოთ, მაგრამ როგორ დაბრუნდეს მწერლობა, რომელიც გააძევეს მენშევიკებმა საქართველოდან, რადგან თავიანთ წრეში არა ჰყავთ ხალხი, რომელთაც ჰქონდეთ თაოსნობა და ნიჭი რამის გარიგების, სხვებს კი კეთროვანივით არ იკარებენ.

არ ვიცით როდის იდღესასწაულებენ ქართველი მენშევიკები თავიანთ რევოლიუციის დღესასწაულს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ დღესასწაულზე არაფერი იქნება, გარდა კარლ მარქსის გახუნებულ სურათისა (ეს დროშები უკვე დაცვდენ და ახლებისთვის არავინ ზრუნავს) და იმ კანტატებისა „ერთობაში“ რომელსაც ვერთიანპირი პათოსით სწერენ ხარაზები და პროპაგანდისტები. ლექსათ თუ პროზათ...

ტიციან ტაბიძე.

ხიც თვით წამოაყენა მან და რომ ამ საშუალებით საზღვრების საკითხის გადაწყვეტამდე ქართულ ჯარს ნაბრძანები აქვს, იმ ხაზზე დარჩეს, რომელიც მას უკავია და სამხედრო მოქმედება არ დაიწყოს.

მიუხედავად ამისა, იმავე დღეს, საღამოთი, საქართველოს მთავრობამ მიიღო ახალი ცნობა, რომ სომხურმა ჯარმა ქარინჯის დაცლა მოითხოვა და ამის შემდეგ ძალით დაიპყრეს ახალი ხაზი: ქარინჯ-წათერნი, რითაც აიძულეს გერმანელთა სადარაჯო, უკან წამოსულიყო იქიდან.

შექმნილ მდგომარეობის განხილვის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ დაავალა საგარეო საქმეთა მინისტრს, აცნობოს სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს ჯამალიანს, რომ, თუ სომხური ნაწილები ეხლავე არ დასცლიან დაუყოვნებლივ იმ ადგილებს, რომლებიც ოსმალთა წასვლამდე ჩვენ გვეჭირა, ქარინჯ-წათერნ მდ. კამენკას ხაზითურთ ან შემდეგში დაიპყრობენ ტერიტორიის რომელიმე ნაწილს თბილისის გუბერნიაში, მაშინ საქართველ. მთავრობა ამას ჩასთვლის სომხების მხრით სამხედრო მოქმედების დაწყებად. ორივე რესპუბლიკისათვის ამის დამღუპველ შედეგების პასუხისმგებლობა, ამის შემდეგ სომხებს დაეკისრება.

ნოტა უკვე ჩაბარდა ჯამალიანს.

მთავრობა იმედს არ ჰკარგავს, რომ კონფლიქტის მშვიდობიანის გზით თავიდან აშორება შესაძლებელია.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტოს.)

## ომი

### დასავლეთის ასპარეზი.

**ბერლინი.** 23 ოქტ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ლიხის დაბლობში ბრძოლა გრძელდება დეინზის ორივე მხარეზე, ქალაქის ჩრდილოეთით, საიდაც მტერმა მცირე ტერიტორიის დაჭერა შესძლო. კონტრ-იერიშებით შევაჩერეთ მტრის ძლიერი იერიშები. დეინზე—ოლსენის დასავლეთით. კორტრიკის აღმოსავლეთით, ფიხტეს დასავლეთ ფერდობზე მტერმა შეგვავიწროვა. მლეზვიგის მეათე პოლკმა, მაიორ გრიდნერის მეთაურობით მიუხედავათ მტრის ძლიერი იერიშებისა. შეინარჩუნა მაღლობები ტუონეს და ვალისონის ორივე მხარეზე უმნიშვნელო ბრძოლაა.

გერმანიის კრონპრინცის ჯარი. მარლეს სამხრეთით ჩვენ დავსტოვეთ სიშაგრე ორივე მხარეზე. მდ. ენზე ჩვენ მოვიგერიეთ მტრის ძლიერი იერიშები. ენის აღმოსავლეთით, ვუზიერის ორივე მხარეზე და ოლიზის აღმოსავლეთით ბრძოლა გრძელდება მძიმე არტილერიის დახმარებით მტერს იერიშები მოჰქონდა ტერონომის და ფალეზომის შუა და ოლიზისა და ბორეპერის შუა. ბალეს დასავლეთით მაღლობებზე მტერმა დაიჭირა მცირე ტერიტორია. დანარჩენ ფრონტზე უკან დაიხია. ნაშუადღევის მძიმე არტილერიის გაძლიერების შემდეგ მოწინააღმდეგე იერიშით წამოვიდა. მიუხედავათ იმისა, რომ მტერს ძლიერი იერიშები მოჰქონდა, ბავარიის ქვეითა № 1 პოლკმა, მაიორ შმიდლერის წინამძღოლობით მედგარ თავდაცვით მეხტრის აღმოსავლეთით შეინარჩუნა მაღლობები. დანარჩენ ფრონტებზე მტერმა ზარალით უკან დაიხია.

გალვიცის ჯარი. არგონებსა და მაასის შუა და მაარსა და მუზელის შუა მოწინააღმდეგე ცეცხლს აძლიერებს. მაარსა და მოზელის სამხრეთით ბრძოლის დროს ცვლილება არ მომხდარა. ლეიტენანტ ბიუხნერსა მე-40 ჯერ გამარჯვა ჰაერში.

**სტამბოლი.** 23 ოქტომ. სამხედრო ცნობა. პალესტინის პრონტზე ჩრდილოეთით მტერი წინ მოიწევს. მესოპოტამიაში მტრის ჯარი, რომელიც ტიგრის ფრონტზე წინ წაწევას ცდილობდა, უკუ-ვაქციეთ.

**ბერლინი**, 23 ოქტ. საღამოს სამხედრო ცნობა. ფლანდრიაში უმნიშვნელო ბრძოლაა. სოლემსის და ლეკატოს ორივე მხარეზე ჩვენ დავამარცხეთ ინგლისელების ცდა, გაერღვიათ ჩვენი ფრონტი. სენ-მერტენ-ნ-ევილი ბუზი-ორის და კოტიის ხაზზე ძლიერი ბრძოლა დასრულდა. სერის სამხრეთ ნაპირზე, ვუზიერის ორივე მხარეზე და გრანდ-პრეს დასავლეთით, ფრანგებს იერიში მოაქვთ. მაასის ორივე ნაპირზე ამერიკელთა ძლიერი იერიში მოვიგერიეთ.

**ვენა**, 23 ოქტ. სამხედრო ცნობა. იტალიის ფრონტი. მთელ ფრონტზე არტილერიის და ჰაეროპლანების მოქმედებაა.

**ბალკანეთის ფრონტი.** ჩვენი ჯარი უახლოვდება ჩერნოგორია-ალბანეთის საზღვარს. დასავლეთ მორავაზე და კრუზევაცის სამხრეთით ბრძოლა გრძელდება. მტერი შეეცადა კრალევოსთან გადმოსვლას, მაგრამ უკუვაქციეთ.

**პარიზი.** 23 ოქტ. სამხედრო ცნობა. უაზის ფრონტზე არტილერიის ძლიერი მოქმედებაა. უაზისა და სერის შუა კოტიიონ-დიუ-ტამპლის ჩრდილოეთით, ჩვენ დავიჭირეთ ტერიტორია და ჩვენი ხაზი გადვიტანეთ ქევერსიპო-დამთან. აღმოსავლეთით დავიჭირეთ ტყე, რომელსაც მტერი ენერგიულად იცავდა. დავატყვევეთ 150 ჯარის კაცი. სერის და სუშეს ფრონტზე დღე-ღამის განმავლობაში ძლიერი ბრძოლა იყო. ფრუამონდ-კოარტილთან და ნიერონთან ჩვენმა ჯარმა, გერმანელთა ძლიერი იერიშის მიუხედავად, წინ წაიწია და ბრაზიკურის ფერმასთან გამაგრდა. ნიზი-ლე-კონტის აღმოსავლეთით წინსვლა გავაფართოვეთ. მდინარე ენის აღმოსავლეთით და ვუზიერის ოლქში ძლიერი ბრძოლაა. გერმანელებმა იერიში მოიტანეს ტერონზე და ვანდის აღმოსავლეთით ჩვენს პოზიციებზე. მტერი დიდი ზარალით ყველგან მოვიგერიეთ, ოლიზისა და გრანდ-პრეს შუა ჩვენ დავიჭირეთ წისქვილი ბოდბერი და წამოვიყვანეთ ტყვეები. დანარჩენ ფრონტზე აღსანიშნავი არაფერია.

**ამერიკის ოფიციალური სამხედრო ცნობა.** 23 ოქტ. ვერდენის ჩრდილოეთით, რამდენიმე ადგილას ჩვენ გავიმარჯვეთ, თუმცა მტერი ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევდა. მეუზის აღმოსავლეთით ბრძოლის დროს ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ვუა-ბულე და შეიჭრა მტრის სანგრებში ტრე და ვავრილის ტყეში, საიდანაც ასი ტყვე წამოიყვანა. მეუზასა და მონტევილის დასავლეთით ჩვენი ბრძოლის ხაზი იმყოფება სოფლის ჩრდილოეთ-დასავლეთით. გრანდ-პრეს ჩრდილოეთით ძლიერი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა წამოიყვანა 75 კაცი ტყვედ და 8 ტყვიისმფრქვეველი. მთელს ფრონტზე არტილერიის ძლიერი ცეცხლი იყო განსაკუთრებით კიმეუზის აღმოსავლეთით და ეირის ჩრდილოეთით. მეუზის ორივე მხარეზე საჰაერო ბრძოლა სწარმოებდა. დავამარცხეთ მტრის 15 ჰაეროპლანი და ერთი მზვერავი ბალონი. ჩვენი მხრით დაიღუპა 8 მზვერავი ბალონი, 6 ჰაეროპლანი არ დაბრუნებულა. ჩვენმა ესკადრამ მტრის ბანაკში გადაისროლა 5 ტონი ასაფეთქებელი მასალა.

**ბერლინი.** 21 ოქტ. წარსულ ღამეს გერმანიიდან შვეიცარიაში გაიგზავნა ვაშინგტონში გადასაცემათ საპასუხო ნოტა. ფრონტზე იგზავნება ნეიტრალური კომისია, რომელიც ბრიუსელში მცხოვრებთ ნეიტრალურ სახელმწიფოთა მცხოვრებთაგან შესდგება. კომისიამ უნდა გამოარკვიოს, რამდენად მართალია ხმები თითქო გერმანიის ჯარი უკან დახევის დროს სწვავდეს და ანადგურებდეს სოფლებს. კომისიის ხელმძღვანელობა იკისრა ბრიუსელში მყოფმა ელჩმა ბარონ ფონ-დერ-ლანკენმა.

### გერმანიის ტრანსოკეანეს პრესა.

21 ღვინ. მეუზის ოლქის ბრძოლაში მონაწილეობის მიმღები სწერს: „25 სექტემბრიდან, როცა ფრანგებმა და ამერიკელებმა იერიში დაიწყეს ზარბაზნების ყუმბარები შორე მანძილიდან გერმანელების ფრონტს სცილდებოდა და ანადგურებდა მშვიდობიან მცხოვრებლებს, რომელნიც წარსულში გერმანელებმა დაზოგეს. 1914 წ. ომმა ისე გაიარა ამ ადგილებში, რომ თავისი კვალი არ დაუტოვებია.

### რუსეთი

**მოსკოვი**, 23 ოქტ. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.

**ვორონეჟი.**, 22 ოქტ. №... პოლკის მზვერავებმა მოიტანეს ყაზახთა მიერ გამოცემული მოწოდების ფურცელი, რომლითაც ისინი წინადადებას აძლევენ გლეხებს ჩაეწერონ საბჭოთა მოწინააღმდეგე ჯარში. სასყიდლათ მიეცემათ თვეში 500 მანეთს და გარდა ამისა დღიური „საომარი“ ხარჯი 155 მანეთი. მიუხედავათ ამისა გლეხები მაინც არ ეწერებიან კრასნოვის მიერ კადაგდებულ ანკესზე.

მე-8-ე არმიის შტაბი. 22 ოქტ. ჩეხო-სლოვაკების ტყვეობიდან გამოქცეული მოსამსახურენი იუწყებიან, რომ „დამფუძნებელი კრების“ არმიიდან ჯარისკაცები გარბიან.

ზავის საქმე, ინგლისის და საფრანგეთის პრესა ჰკიცხავს გერმანიის უკანასკნელ ნოტას.

**ბერლინი.** 28 ოქტ. პანგერმანელები ცდილობენ აამხედრონ ხალხი ზავის წინააღმდეგ. გამოსცეს შესაფერი მოწოდება.

**გააგა.** 20 ოქტ. გაზ. „ნიუ-ვურანტის“ გადმოცემით დროებით ზავის ჩამოგდების პირობად გერმანიის ჯარის რეინს იქით გადაყვანას სთვლიან.

**ბერლინი.** 22 ოქტ. გაზეთი „ბერლინერ ტიდენდე“ იუწყება: რომ მიუხედავათ ინგლისის სურვილისა სრულიად დაამარცხოს გერმანია, ის იძულებულია იჰქაროს ზავის ჩამოგდება, რათა არ მისცეს საშუალება ბოლშევიზმის გამარჯვებას.

**ბერნი.** 20 ოქტ. მილანში ჯარისკაცებმა დიდი დემონსტრაცია გამართეს ზავის სასარგებლოთ.

**ბერლინი.** 20 ოქტ. ლაიპციგერ-ფოლკს-ცაიტუნგში“ დაბეჭდილ „დამოუკიდებელის“ მოწოდებაში ნათქვამია: გერმანია შექმნის თავის სახელმწიფოს არა „წყალობითა ღვთისათა“, არამედ თანახმად ხალხის სურვილისა. „ჩვენ მოვითხოვთ: დაუყოვნებლივ ზავს. ამინისტიას, ხაალყო წესების მოხსნას, კონსტიტუციის შეცვლას და ხალხის უფლებათა გაფართოებას. ჩვენი იდეალი სოციალისტური რესპუბლიკაა.

**ბერლინი.** 23 ოქტ. კარლ ლიბკნეხტი ციხიდან გაანთავისუფლეს. „ლაიპციგერ-ფოლკს-ცაიტუნგი“ წერილში: „დარჩება თუ წავა“, განიხილავს ვილჰელმის წასვლის შესაძლებლობას. ვილჰელმის ტახტიდან გადადგომის აქტში ბურჟუაზია დაინახავს ზავის მოახლოვებას, დამოუკიდებელი სოციალისტები კი ჰფიქრობენ, რომ ვილჰელმის გადადგომა არ იქნება მომასწავებელი მილიტარიზმის დამხობისა.

**ბერლინი**, 22 ოქტ. გერმანიის მთავრობა სასტიკ ზომებს ხმარობს იმ სტამბის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთის სოციალისტურ კანონმდებლობას ბეჭდავს. ჩვენმა საელჩომ ამის გამო გერმანიას ნოტა გაუგზავნა.

**ბერლინი.** 20 ოქტ. ქ. სოფიის ქუჩებზე ნამდვილი ბრძოლა იყო ბოლშევიკებსა და მთავრობის ჯარის კაცთა შორის. მოკლულია 3000 კაცი. გაზ. „ფორვერტსის“ ცნობით ბულგარეთში დაარსეს საბჭოები.

# უცხოეთის ამბები

### რუსეთ-ოსმალეთის განხეთქილება.

„კიევსკაია მისლის“ 26 ენკენისთვის ნომერში მოთავსებული იყო ჩიჩერინის ნოტა ოსმალეთისადმი, რომელშიაც საბჭოს მთავრობა აცხადებდა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად რუსეთსა და ოსმალეთს შორის დამყარებული მშვიდობიანი განწყობილება ფაქტიურად უარყოფილია. როგორც ბერლინის 5 ღვინობისთვის გაზეთები იტყობინებიან ბერლინის საბჭოს წარმომადგენელმა იოფემ თავისი მთავრობის დავალებით გადასცა ჩიჩერინის ნოტა ოსმალეთის ელჩს რიზად-ფაშას და წარუძღვანა თან ნოტა, რომელიც ამბობს;

„ბ, ელჩო, თქვენმა აღმატებულებამ უწყის, რომ როცა ოტომანის ჯარებმა ბაქო აიღეს საბჭოს მთავრობამ მიმართა ოტომანის საიმპერატორო მთავრობას ნოტით, რომელშია ‡ ამცნობდა, რომ მშვიდობიანი განწყობილება ოსმალეთსა და რუსეთს შორის დარღვეული იყო. ამის შემდეგ მათმა ბრწყინვალებამ დიდმა ვეზირმა თალაათ ფაშა გამოსთქვა სურვილი დაეწყო ჩემთან მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ მშვიდობიანური გზით გადაგვეწყვიტა კონფლიქტი. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მე გადავეცი მათ ბრწყინვალებას შემდეგი მუხლები, რომლებიც შეეძლო მიეღო რუსეთს:

1. ოტომანის მთავრობამ თავის ნებით უნდა გაიყვანოს თავის საზღვრებზე ყველა თავისი რეგულიარული და არა რეგულიარული ჯარები იარაღით და ყველა მოწყობილობით. ამასთანავე უნდა გაიყვანოს ოსმალეთის მოხალისეთა ძალები და მოხელეები. ის საზღვრები, რომლებიც აღნიშნული იყო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში და ყველა დაჭერილი ადგილები უნდა დაუბრუნდეს რუსეთის მთავრობას.

2. იმ ზარალის გამოსარკვევად, რომელიც მიაყენა რუსეთს ოსმალეთის ჯარებმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების წინააღმდეგ, უნდა დაწესდეს ინტერნაციონალური კომისია.

3. ორივე მხარე მიმართავს გერმანიის საიმპერატორო მთავრობას და სთხოვს, რომ მან უზრუნველ ჰყოს ამ ვალდებულების განაღდება.

მათმა ბრწყინვალებამ დიდმა ვეზირმა გამიცხადა, რომ მას შეძლება არა აქვს პასუხი მომცეს თავის კოლეგების დაუკითხავად და მისი წასვლის წინ გამოირკვა, რომ თქვენი ამაღლებულება გადმომცემს ოტომანის მთავრობის ნოტას 30 ენკენისთვისათვის. მათი ბრწყინვალების დიდი ვეზირის დეპეშის თანახმად, რადგან დრო არა ჰქონდათ ეს საკითხები განეხილად სტამბოლში, საპასუხოდ ვადა მიეცა 2 ოქტომბრამდის. დღეს თქვენი აღმატებულება გამოცხადდა ჩემთან, შეპატყობინოს. რომ ოტომანის მთავრობამ უკვე ბრძანება გასცა და ჯარები უკან იწევენ თავის საზღვრებისაკენ თანახმად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებისა, მაგრამ თქვენმა აღმატებულებამ ნამდვილად არ მამცნო, იხევენ აგრეთვე არა რეგულიარული ჯარები და ამასთანავე შესრულებული იქნება თუ არა დანარჩენი პირობები რადგან თქვენს პასუხს თან არ ახლავს შესაფერი განმარტებანი თქვენი მთავრობისა.

ამისთანა პირობებში მე უნდა დავთვლოთ შეწყვეტილად ჩავსთვალო მათი ბრწყინვალების დიდი ვეზირის მიერ დაწყებული მოლაპარაკება და ჩემი მთავრობის დავალებით გადმოგცემთ შემდეგს ნოტას“.

ამ ნოტის ტექსტი მოთავსებული იყო „კიევსკაია მისლის“ 26 ღვინობისთვის ნომერში.

# ბათუმი.

ბათუმიდან ჩამოსულნი, ქალაქის მდგომარეობის შესახებ შემდეგს გადმოგვცემენ:

### ქალაქის მდგომარეობა.

ქალაქში ეხლა ისეთი სიწყნარეა, რომ საღამოთი ვერც კი შეატყობთ თუ ვინმე სცხოვრობს იქ. საღამოს 9 საათიდან ქუჩაში გამოსვლა, მხოლოდ განსაკუთრებულ ნებართვით შეიძლება, რომლის აღება ძალიან ძნელია, ხოლო 12 საათიდან კი მოძრაობა სრულებით აკრძალულია და ყურებს სასტიკად სჯიან.

ქალაქში წესრიგს ასკერები იცავენ, მხოლოდ ოლქში კი ჟანდარმები და მცხოვრებთაგან არჩეული პირნი.

### ოსმალები.

უკანასკნელ ხანებში ისინი როგორღაც დაბნეულნი სჩანან; ჯგუფდებიან ქუჩებში, ცხარედ კამათობენ, რაც უწინ მათ არ სჩვევიათ და მცხოვრებლებთან დიდ თავაზიანობას იჩენენ. ამ დღეებში ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი: უეცრად ღამით გემები ჯარით დატვირთეს და ნავთსადგურიდან მოხსნეს. მცხოვრებლები ძალიან დაშინდენ, რადგან ქალაქი უგარნიზონოდ დარჩა და ყაჩაღების დაცემა მოსალოდნელი გახდა, მაგრამ დილით ადერბეიჯანიდან მოვიდენ ახალი ნაწილები. ქალაქიდან ყველაფერი გააქვთ და თუ სულ მოუხდათ წასვლა, შესაძლებელია სრულებით არაფერი არ დასტოვონ.

### სასჯელის წესები:

სასჯელისათვის, ყველაზედ უფრო მიღებული წესი—გაროზგვაა- ამ დღეებში ესეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: ერთ ქალს ნოხი მოეპარა; დაიჭირეს თათრებმა, გააწვინეს და დაუწყეს როზგვა. „ოთუს-ბირაო“—ე. ი. 31 როზგი ჩვეულებრივი რიცხვი. ვიღაც გამვლელი, რომელმაც ვერ აიტანა ქალის საოცარი ტანჯვა და გამოექომაგა მას; ოსმალებმა შეიწყნარეს მისი თხოვნა, ქალი გაანთავისუფლეს მაგრამ ის რაც ქალს დააკლდა ოცდათერთმეტ წკეპლამდე ამ კაცს მოხვდა.

### სასწავლებლები

ყველა სასწავლებლები დახურულია. ოსმალები თანახმა არიან ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახსნიან, თუ სავალდებულოთ გახდიან ოსმალურ ენას.

ჯერ ჯერობით გახსნილია მხოლოდ ერთი უფლებიანი გიმნაზია, სადაც განსაკუთრებულ ოსმალურ ენას ასწავლიან.

### როგორ ეპყრობიან სხვა ეროვნებათ

ყველა სხვა ეროვნებათ, რომელნიც ბათომში სცხოვრობენ, ოსმალები ცუდათ ეპყრობიან; ცოტა უფრო თავაზიანად ქართველებს, მაგრამ ყველაზედ უკეთ რუსებს. ბათომის ოსმალთა დეპეშათა საგენტოს ბიულეტენებში „მლალში“ დაბეჭდილია შემდეგი განცხადება: „ამით ცხადდება, რომ ყველა პენსიან რუსს, ვინც კი რუსეთის მთავრობისაგან იღებდა პენსიას, შეუძლია გამოცხადდეს თავიანთი საპენსიო წიგნაკებით ვალის კანცელარიაში თარჯიმანდარსუნ ეფენდი ნაკაშიძესთან რეგისტრაციისათვის.“ ყველას, ვინც კი ამ განცხადების თანახმად გამოცხადდა, მიიღო კუთვნილი საპენსიო თანხით ამის გარდა რუსი ოფიცრები თავის ჩინის მიხედვით იღებენ სახაზინო სურსათს, მაგალითად რუსი ღენერლები იღებენ თვეში 5 ფუთს პურის ფქვილს თვეში 20 მანეთად ფუთს. ხორცს 80 კ. გირვანქას და სხვა ესეთსავე საჭიროებებს უმნიშვნელო ფასებში.

### სურსათის ფასები

ბაზარზედ შემდეგი ფასებია: ფუთი ხორბალი 130 მ. პური გირვანქა 4 მ. 50 კ. 2 მ. 50 კ. 4 მანეთამდე. ხორცი—2 მ. 50 კ. გირვანქა ბრინჯი 6 მ.

### გაზეთები

ქალაქში არც ერთი გაზეთი არ გამოდის, გარდა ოსმალთა დეპეშათა სააგენტოს ბიულეტენებისა, რომელნიც ოსმალურ და რუსულ ენაზე გამოდიან. ოსმალთა მიერ დაპყრობილ ადგილებიდან გამოსვლისთვის ან შესვლისთვის საჭიროა აუცილებლად მოწმობა ხოლერის აცრისა და ნებართვა ოსმალთა და ქართველ მართველობათა.

# ყრილობა

### სრულიად საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა წარმომადგენლებისა.

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირის, ფოსტა ტელეგრაფის ცენტრალ გამგეობამ მოიწვია სარაიონო გამგეობათა წარმომადგენლების კონფერენცია, რომელიც გაიხსნა 20 ღვინობისთვეს სხდომას 27 წარმომადგენელი დაესწრო. თავმჯდომარედ აირჩიეს შალიკიანი, ამხანაგად მესხი, მდივნებად: ნასიძე და პრელაშვილი. შემუშავებულია დღის წესრიგი: ა) მოხსენება ცენტრალური გამგეობის, ბ) მოხსენებანი ადგილებიდან, გ) მატერიალური მდგომარეობა; დ) გაეროვნება საბოლოო, ე) ახალი ადმინისტრაციის მოქმედება, ვ) ბეჭდვითი ორგანო, ზ) უწყების შემოსავლის გამადიდებელი საშუალებანი და სხვა სულ 16 საკითხია.

სიტყვით ესალმება გორის წარმომადგენელი ტ. ინასარიძე.

ოლქის უფროსი დ. მგელაძე, როგორც მთავრობის წარმომადგენელი ამბობს სიტყვას. შემდეგ კონფერენცია ავალებს პრეზიდიუმს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს მთავრობას და შეუდგა ცენტრალური გამგეობის მოხსენების მოსმენას. მოხსენებას ადგენს ბ-ნი შალიკიანი. აღნიშნავს იმ დაბრკოლებათ, რომელიც წინ უდგა ცენტრალ გამგეობას დღიდან თავისი მოღვაწეობის და როგორი წინააღმდეგობა გაუწიეს გაეროვნებით უკმაყოფილო ელემენტებმა. რეორგანიზაცია, გაეროვნება, შტატების შემოკლება და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება—აი მთავარი საკითხები, რომელიც საქართველოს ფ.-ტ. მოსამსახურეთა პირველმა ყრილობამ დაავალა და რისთვისაც იბრძოდა ც. გამგეობა. ეს მიზანი მიღწეულ იქნა. რაც შეეხება ეკონომიურ საკითხს, აქ მთავრობამ თავისი დაპირება პურის მოწოდების შესახებ ვერ შეასრულა.

„ს. რ. ფ. ტ. მოსამსახურეთა წარმომადგენლების კონფერენციამ მოისმინა რა ც. გამგეობისა მოხსენება. მოიწონა მისი მუშაობა უცხადებს სრულ ნდობას, და სთხოვს ენერგიულად განაგრძოს მუშაობა.

# ქართ. სამხედრო ექიმთა პირველი ყრილობა

ქართველ სამხედრო ექიმთა ყრილობის მოწვევის სურვილი დიდი ხანია გვქონდა. ექიმთა მიზანი იყო ყრილობას გამოეთქვა თავისი აზრი, თუ რა ზომებით შეიძლებოდა დავხმარებოდით მთავრობას, სანიტარულ და საექიმო მდგომარეობის მოსაწესრიგებლად, რომ უკვე რამოდენიმე თვე ყრილობის მოწვევამდის სხვა და სხვა დივიზიების უფროსმა ექიმებმა შეჰქმნეს თავის თანამშრომლებთან ერთად მცირე კომისიები, რომელთაც აღნიშნეს სასანიტარო საექიმო საქმის უმწეობა ჯარში. და ყოველივე ნაკლი დასაბუთებული მასალებით ეუწყა სანიტარულ მმართველობის უფროსს, რომელსაც სთხოვდენ ყრილობის მოწვევას, მაგრამ სანიტარულ ინსპექტორმა ვერ შესძლო დაეკმაყოფილებინა სამხედრო ექიმთა სურვილი კრების მოწვევის შესახებ. მაგრამ რაც გაძნელდა სანიტარულ მართველობის უფროს-სთვის, ის ადვილი გახდა სამხედრო ექიმთა ინიციატივის ჯგუფისთვის, რომლებმაც მოახერხეს მთავრობისგან ნებადართული სამხედრო ექიმთა ყრილობის მოწვევა. პირველ ხანაში ინიციატივითა ჯგუფი შესდგებოდა სულ სამ ექიმისგან: ნიკო ერისთავი, კოტე ტყეშელაშვილი და პავლე კავლაძე. შემდეგ ამ ჯგუფს მიემატნენ ორი დივიზიის ექიმი დიმიტრი ახვლედიანი და გიგო კერესელიძე. ინიციატივის ჯგუფმა სანიტარულ ინსპექტორის თანხლებით ითხოვა სამხედრო მინისტრისაგან ნება ყრილობის მოწვევამდის მოეხდინა თბილისში მცხოვრებ სამხედრო ექიმთა წინასწარი ყრილობა, სადაც მომავალი ყრილობის წეს რიგი უნდა ყოფილიყო შემუშავებული. წინასწარი ყრილობის შოთვლა და ექიმთა ინიციატივის ჯგუფის მოქმედება იყო მოწონებული, კრებამ, რომელზედ დაესწრო 20 წევრი, შეიმუშავა მომავალ ყრილობის წეს რიგი, და სხვა და სხვა კითხვების შესახებ. წინასწარ ყრილობის კრებამ ინიციატივათა ჯგუფს დაავალა განაგრძოს მუშაობა, დაემზადებინა მოხსენებანი, პროვინციიდგან გამოეწვია ამხანაგები, დაემზადებინა ბინა მათთვის ტფილისში და მოემზადებინა კრებებისათვის დარბაზი, და ინიციატივითა ჯგუფს მიეცა ნება, კოოპტაციის წესით მოეწვია სხდომებზედ სამუშაოდ ექიმები, ამიტომ ექიმთა ინიციატივის ჯგუფმა მოიწვია ამხანაგი ი. მამულია და ლ. ფირცხალავა. ყოველივე ჩვენი მოქმედება დაადასტურა და მოიწონა ბ. სამხედრო მინისტრმა, რომლის ნებართვითაც—18 ღვინობისთვეს შესდგა სამხედრო ექიმთა ყრილობა, რომლის შემადგენლობა საკმაო მრავალ რიცხოვანი გამოდგა და რომლის საქმიანობამ იმედებს გადააჭარბა.

ექ. ერისთავი-შარვაშიძე.

სამხედრო ექიმთა პირველმა ყრილობამ გაუგზავნა შემდეგი დეპეშები:

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნ. ჩხეიძეს:**

სამხედრო ექიმთა პირველი ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და გამოსთქვამს სიხარულს, რომ მთელი რუსეთის დიდი რევოლიუციის ბელადი ხელმძღვანელობს დღეს საქართველოს ნორჩ პარლამენტს და იმედოვნებს რომ თქვენ ქართველ ერს წაიყვანთ ბედნიერი გზით.

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრემიერს ნოე ჟორდანიას:**

სამხედრო ექიმთა პირველი ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრემიერს და გამოსთქვამს სიხარულს, რომ ძველი დამცველი დემოკრატიის წეს-წყობილებათა დღეს დღეობით წინამძღოლობს ნორჩ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და იმედოვნებს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა აღორძინდება და გამაგრდება.

**სამხედრო მინისტრს:**

სამხედრო ექიმთა პირველი ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარის სათავეში მდგომს და იმედოვნებს, რომ ქართველი ერის ჯარის სანიტარული მდგომარეობა, მისა და ექიმთა შეთანხმებული მუშაობით, მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე იქნება დაყენებული. ექიმები მუდამ მზად იქნებიან თავიანთი ძალღონე შესწირონ საქართველოს რესპუბლიკის ჯარის კაცთა ჯანმრთელობას და მის ფაქიზად მოვლა პატრონობას.

**ქართულ უნივერსიტეტის რექტორს:**

სამხედრო ექიმთა პირველი ყრილობა სალამს უძღვნის თქვენი სახით საქართველოს პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტს მოსიხათლის და ცოდნის ამომფენს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით საქართველოში მომზადდებიან მამულისა და მეცნიერებისათვის თავდადებულნი მუშაკნი.

# იაპონიის შეიარაღება

ამერიკული გაზეთების ცნობით ტოკიოს სამეფო საბჭომ ივლისის დასაწყისში სხდომა იქონია და გადასწყვიტა არაჩვეულებრივად გაადიდოს იაპონიის სამხედრო და საზღვაო ძალები. არმია აქამდე ოცდაერთ ოთხპოლკიან დივიზიას შეიცავდა: მომავალში იქნება ორმოცდაორი სამპოლკიანი დივიზია. ამისთვის გადადებულია 174 მილიონი იენი. ფლოტი გამოყოფილ იქნება სამ ერთეულად, რომელშიც რვა-რვა დიდი გემი და რვა-რვა ჯავშნიანი კრეისერი იქნება. ამისთვის გადადებულია 1000 მილიონი იენი. იაპონიის ხალხში ხშირად გაისმის საკითხი: რა ადგილი ეჭირება იაპონიას როგორც საზღვაო ძალას ომის შემდეგ შეერთებულ შტატებთან შედარებით. როგორც სჩანს, იაპონიის პოლიტიკური ხელმძღვანელების რწმენაა, რომ იაპონიას განმარტოების საფრთხე მოელის თუ ისეთი ძლიერი ჯარი და ფლოტი არ შექმნა, რომელიც ერთნაირ მოკრძალებას გამოიწვევს სხვა სახელმწიფოებში. ეს მით უფრო საჭიროა, რომ შესაძლებელია დასავლეთის სახელმწიფოები რუსეთისა და ჩინეთის საქმეებში ჩაერივნენ. იაპონიას არ სწამს, რომ ომის შემდეგ შეიარაღება შეჩერდება და ხალხთა ლიგის შემწეობით მუდმივი ზავი დამყარდება. პირიქით, როგორც სჩანს, იაპონელებმა დიდი ომიდან ის გაკვეთილი მიიღეს, რომ ძალა ეროვნული უფლებების ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად ერთი მფარველია, საერთაშორისო მორალისა და ალტრუისტული მოტივებისა მაინცა და მაინც არაფერი სწამთ იაპონიაში. შეიძლება იაპონიას თავის მოკავშირეების გავლენისაგან განთავისუფლება სურდეს საბოლოოდ: ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ ახალი სამხედრო პლანები იმის მაჩვენებელია რომ იაპონიას უფრო ფართო და ინტენსიური პოლიტიკის წარმოება სწადია...

## თეთრ „გიორგის“ წრე

ღვინობისთვის 22-ს სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში შესდგა დამფუძნებელი კრება ხელოვნების მოყვარულთა წრის „თეთრის გიორგის“.

კრებამ დაამტკიცა ინიციატორთა ჯგუფის მიერ შედგენილი წესდება, აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისია. ამით შესრულდა ფორმალური მხარე წრის არსებობისა რაც სასიამოვნოა. ფართო მასას შეიძლება არა უთხრას რა „თეთრი გიორგის“ წრის დაარსებამ, მაგრამ მათ ვინც დაინტერესებულია მშობლიურ და ამასთანავე ახალი მიმდინარეობით ხელოვნებაში, ის სიამოვნებით შეეგებება ასეთ წრის დაარსებას.

მგოსანი და მომღერალი, მხატვარი და მოქანდაკე დღეს რომ დაშორებულნი არიან ერთი მეორეს,—დღეიდან უკვე მკვიდრათ დაძმობილდებიან იმ ჟურნალის გამოცემით, რომელიც ამ დღეებში უნდა გამოვიდეს.

ყველა იმ მიზნურ დაპირებებს რომელსაც იძლევა წრის წესდება რომ თავი დავანებოთ—აშკარაა ერთი: „თეთრი გიორგის“ წრე თავის ახალგაზრდულ ალტაცებით ეცდება ახალი ენერგია შეიტანოს ქართულ ცხოვრებაში.

ბენო გორდეზიანი.

## საუბარი ბ. არშაკ ჯამალიანთან.

სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელმა საქართველოს მთავრობის წინაშე ბ. არშაკ ჯამალიანმა გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომელს შემდეგი განუცხადა:

**სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა და ბორჩალოს საკითხი.**

იმ მოვლენათა შესახებ, რომელსაც სულ ამ მოკლე ხანში ჰქონდა ადგილი ბორჩალოს მაზრის ერთ ნაწილში და რომელიც ეხება სომხების და ქართველების ურთიერთობის საკითხს ამ დასახელებულ მაზრაში, მე ამ ჟამად არ შემიძლიან დაწვრილებით რამე გადმოგცეთ. უკეთ რომ ვსთქვათ, მე არ მაქვს უფლება ამ საკითხის შესახებ ცოტად თუ ბევრად დაწვრილებითი ცნობები მოგაწოდოთ გაზეთებში გამოსაქვეყნებლად. მხოლოდ შემიძლიან ახლა მარტო შემდეგი მოგახსენოთ: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ნოტა, ამ საკითხის შესახებ, რომელიც მე განსაკუთრებულმა კურიერმა გადმომცა, დაუყონებლივ გაუგზავნე ჩემს მთავრობას ერევანში.

**სომხეთის და ადერბეიჯანის სუვერენულ სახელმწიფოებად აღიარების საკითხი**

მართალია, როგორც ეს ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო ხელშეკრულების დამატებიდან სჩანს, რომ ცენტრალურ სახელმწიფოებს ჯერჯერობით არ უცვნიათ ადერბეიჯანი და სომხეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, მაგრამ, სტამბულიდან ჩვენ მიერ მიღებული კერძო ცნობების თანახმად ოსმალეთი სცდილობს, რომ სომხეთი და ადერბეიჯანი, ორივე აღიარებულ იქმნენ თავისუფალ, სუვერენულ სახელმწიფოებად, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ოსმალეთი ამ მიზანს ახლო მომავალში მიაღწევს.

**სომხების მდგომარეობა ბაქოში**

უეჭველია თქვენც კარგათ მოგეხსენებათ, რომ ბაქოში წასულ თვის 15-დან ვიდრე 17-მდე დახოცილ იქნა დიდი რიცხვი სომხებისა. ამ შემაძრწუნებელ ფაქტის აღნიშვნის დროს, სხვადასხვა გაზეთები თუ სხვადასხვა საინფორმაციო ბიუროები ერთხმად ადასტურებენ, რომ დახოცილთა რიცხვი მართლაც დიდია, მხოლოდ, სრული სინამდვილით დახოცილთა რიცხვის შესახებ ცნობების მიღება ჯერჯერობით დიდ სიძნელეს წარმოადგენს. მიუხედავათ ამისა საინფორმაციო ბიუროს, რომელიც არსებობს ჩემს კანცელარიასთან, აქვს შეკრებილი მრავალი ცნობები ბაქოს ტრაგედიის საზოგადოთ, და ბაქოში მყოფ მცხოვრებთა უდიდეს ნაწილის ტრაგედიის შესახებ. ხოცვა-ჟლეტა გაგრძელდა სამი დღის განმავლობაში, სახელდობრ 15-დან 17 სექტემბრამდე და მოკლულ იქნა არა ნაკლები 25,000 სული ორივე სქესისა. ზოგიერთ ცნობებს კი ეს რიცხვი 30,000-მდე აჰყავს. მართალია, როცა 17-ს ქალაქში შევიდა ოსმალოს რეგულიარული ჯარი, ცარცვა-გლეჯა და ხოცვა-ჟლეტა იმ წამსვე მოსპობილი იქმნა, მაგრამ ქურთებმა, რომელნიც სამი დღით ადრე ბაქოში შევიდნენ, თავისი ჰქნეს, და ზემოაღნიშნული საზიზღრობა ჩაიდინეს. ქრონოლოგიურად ბაქოს აღების წინა დღეებში მომხდარი ამბები შემდეგ ნაირად აქვს შეკრებილი ჩვენს საინფორმაციო ბიუროს.

**ოსმალოს ჯარის შეტევა 13 სექტ.**

13 სექტემბერს ოსმალოს ჯარმა დაიწყო დიდი შეტევა, ბაქოს დამცველმა ჯარმა უკან დაიხია. ქალაქის საერთო მდგომარეობა მეტად სერიოზული შეიქნა. ცხადი იყო უკვე, რომ ბაქოს ბედი ამ უკანასკნელ დღეებში უნდა გადამწყდარიყო.

**ინგლისელების და ბიჩერახოვის წასვლა ბაქოდან.**

14 სექტემბერს, ნაშუადღევს ინგლისელებმა გადასწყვიტეს ბაქოს დატოვება, ისინი დიდი სიჩქარით ჩასხდნენ ხომალდებში. ინგლისელებთან ერთად ბიჩერახოვმაც ჩასხა თავისი ჯარი ხომალდებში. მათ ერთად ამ დღეს ბაქო დასტოვეს. ბაქოში დარჩნენ მხოლოდ სომხების სამხედრო ნაწილები, რომელნიც შეეცადნენ ქალაქის დაცვას და კიდევაც დაიცვეს ის 15 სექტემბრამდე. მხოლოდ 15-ს ნაშუალამევის 4 საათზე (15—16 სექტემბერს) დიქტატურამ გადასწყვიტა ბაქოს ჩაბარება და ამაზასპმა ჩასხა ხომალდებში თავისი ჯარი. ამ დროს კომისარ შაუმიანის და ოსმალეთის ჯარის უფროსის შორის ზავის შეკვრის საქმე უკვე გათავებული იყო.

**მირზალი-ბეი და ბაქოს დელეგაცია.**

ოსმალოს ჯარის დივიზიის უფროსი მირზალი-ბეი შეჰპირდა ბაქოდან მასთან მისულ დელეგაციას, რომ სიცოცხლე და ქონება ყველასი განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა უზრუნველყოფილი იქნებაო; მართლაც, როდესაც ოსმალოს ჯარი შევიდა ქალაქში, მშვიდობიანობა იმ წამსვე დამყარდა. მაგრამ, როგორც ზემოდ არის აღნიშნული, ის საზიზღრობა, რაც სამუდამოდ წარუხოცელი დარჩება ბაქოს ეპოპეიაში, ქურთებმა უკვე ჩაიდინეს.

**ძარცვა-გლეჯა და მისი შედეგი ბაქოში.**

სძარცვავდნენ მარტო სომხებს; მე მინდა ვსთქვა, რომ თუ სხვა ეროვნებათა ქონებასაც იტაცებდნენ, ეს ხდებოდა განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი სომეხი ეგონათ ხოლმე. ეს ხდებოდა, მაშასადამე, შეცდომით, მიზანში მხოლოდ სომხები ჰყავდათ აღებული, თუ ვინმე აგრეთვე მოკლულია არა სომეხი, ესეც გაუგებრობის, შეცდომის, თუ უცაბედი შემთხვევის გამო.

ძარცვა-გლეჯამ მასიური ხასიათი მიიღო, რის გამო სომხების მცხოვრებთა ის ნაწილიც, რომელიც საშუალო ქონების პატრონათ ითვლებოდა, დღეს პირდაპირ ღატაკია, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, შიმშილობა ბაქოში დარჩენილ სომეხთა შორის ყოველდღე მატულობს, ყოველ-დღე იჭერენ სომხებს და ჰყრიან ციხეებში. ბრალდებათ მათ იმას უყენებენ, რომ ამა თუ იმ პირის ცნობით, ისინი მონაწილეობას ღებულობდნენ მარტში მომხდარ არეულობაში მუსულმანთა წინააღმდეგ.

**სომეხთა და რუსების ტყვეების ბედი.**

ის სომხები და რუსები, რომელნიც ბაქოს დაცვის დროს ტყვედ იყვნენ წაყვანილნი ოსმალოს ჯარის მიერ, თათრების სოფლებს დაურიგეს საცხოვრებლად, უფრო კი სამუშაოდ. ამ ჟამად სოფლებში არიან ისინი კიდევ, თუ სხვაგან სადმე გაგზავნეს ან საზოგადოდ რა ბედი ეწვიათ მათ, ჩვენ არაფერი ვიცით.

## კორესპონდენცია.

**ს. უჯარმა**

ვის არ გაუგონია უჯარმის სახელი, რომელიც წარმართულ საქართველოში ძლიერ ქალაქად ითვლებოდა. იგი თვით სამეუფეო მცხეთასაც მეტოქეობას უწევდა. წმ. ნინოს სიკვდილის გამო მატიანეში ჰსწერია: „მაშინ შეიძრნეს ორნი ქალაქნი: მცხეთა და უჯარმაო“. აქ რამდენიმე ხანი იდგა წმ. ნინო, როცა ქრისტიანობისადმი აქცევდა აქაურ მოსახლეობას (სუჯნი). ვახტანგ-გორგასლანის დროს იგი გახდა საქართველოს მეორე სატახტო ქალაქად. გორგასლანმა იგი შემოზღუდა ვრცელი ციხე-სიმაგრეებით, რომლის ნაშთები დღესაც მკვიდრად შენახულა. საკვირველია, რომ ასეთ დიდებულ ადგილს არ ნახულობენ არც ჩვენი არქეოლოგები და არც ექსკურსანტები.

უჯარმა ძვირფასია მით, რომ აქ დაიღვარა გმირული სისხლი გორგასლანისა. უჯარმისთვის ვახტანგმა საეპისკოპოსო კათედრაც კი გახსნა, სახელდობრ ნინოწმინდა, რომელიც უჯარმიდან 10—12 ვერსის სავალზე იმყოფება. ჩვენმა მეცნიერებმა ყურადღება რომ მიაქციონ და ქალაქის გადათხრას რომ შეუდგნენ, დიდძალი განძი გამოჩნდება, რაც არ ჩამოუვარდება არც ქ. ანს და არც სხ...

მე-7 საუკუნეში უჯარმა არაბებმა მოაოხრეს. შემდეგშიც იგი კახეთის ქორიკოზების სატახტო ქალაქად ითვლებოდა. მე-15 საუკუნეში აქ მძლავრობდა თმოგველის გვარი, რომელიც შემდეგში ქართლში გადასახლდა. უჯარმა დღეს მცირე სოფელია, მდ. იორზე.

აქეთ დღე არ გაივლის, რომ რამდენიმე კაცი არ მოჰკლან ჯვარი-პატიოსნის ძველი ეკლესიის ნანგრევებში დაბინავებულ ყაჩაღებმა.

ივანე ბურსელი.

**სოფ. სიონი** (ბორჩ. მაზ.).

სიონის საერთო ყრილობამ დაავალა იოსებ იმედაშვილს, იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, რათა აქ გაიხსნას პირველდაწყებითი ქართული სკოლა. იმედია, ეს ფრიად საჭირო საქმე გაკეთდება; მით უმეტეს, სოფელი მოწადინებულია და მთავრობისაგანაც იმედი გვაქვს. სოფელი თითონ კისრულობს: შენობას, მიწას, და სხ. ძველი სკოლის სადგომში კი საფეიქრო სკოლა გაიხსნება.

ეს კუთხე კულტურულად ძალიან ჩამორჩენილია და დიდი ყურადღების მოქცევაა საჭირონი, რათა ქართველობისადმი „მოქცევა“ შემდეგშიაც ადვილად ჰხდებოდეს.

ნ. ფ—ლი.

**ს. ხაშმი**

ხაშმში ახალი ავადმყოფობა გავრცელდა, რომელიც სულ მოკლე ხანში ჰსპობს ადამიანს სიცოცხლეს. სოფელი ანტისანიტარულ მდგომარეობაშია.

კარგი იქნებოდა, თუ მთავრობა ყურადღებას ამით მაინც მიაქცევდეს და ავადმყოფობის შესახებ დარიგება გამოუგზავნოს. ამ ავადმყოფობით განსაკუთრებით იხოცებიან ახალგაზრდები და მიზეზად სიცივესაც ასახელებენ. ამ დღეებში აქ მოკვდა ლეკა ქოქრაშვილი, ცნობილი ქველმოქმედი ქ. კაკავში და წვრილი მეცენატი. მისი დაკარგვა მართლაც, უდროო დანაკლისი იყო.

კახეთის რკინის გზებზე უწესოებას ბოლო არ მოელო და ბევრჯელ გვიხდება ივრის სადგურზე ჩასულთ მეორე დღეს წასვლა ქალაქში.

ნიკო ბა—ლი.

**სოფ. წეროვან-გოროვანი** (დუშეთის მაზ.).

ეს მხარე ძველად განთქმული იყო პირნახულის მოსავლით, წრეულს მოსავალს კაი პირი უჩანდა, მაგრამ ბედმა უმუხთლა. თიბათვეში როდესაც ყანები ყვავილში შევიდნენ, დუშეთის მაზრაში გაბოლშევიკებულმა ბრბომ მფრინავ რაზმთან ნარეკვავზე ბრძოლის დროს მთელი პირნახილი სულ გაქელა და მით მოუსპო სოფლებს ყოველივე იმედი პურის მოსავლისადმი. ამასაც შეურიგდნენ მცხოვრებნი, მხოლოდ მოელოდნენ ნაბაჯის მოჰრას და დაბინავებას და მერე სახლის გარედ პურის შოვნას. ეს იმედიც გაუცრუვდათ ეხლანდელი ახალი სენის (ისპანკას) წყალობით, რომლისაგან, თითქმის მთელი სოფელი წევს. არიან სიკვდილის შემთხვევებიც, მეტ წილად ნაკლებ ოჯახებში. ეს სენიც სოფლიდან თითქმის სრულიად მოიშორა, რომ უცბად ერთგვარი ულმობელი სენი გაჩნდა, რომელმაც ერთ კვირას ორი ჯანსაღი კაცი იმსხვერპლა. ამ სენით ავადმყოფი დღე ნახევარზე მეტს ვერ უძლებს. ავადმყოფი იწვამს მუცელს, ამ წვაში ლევს სულს.

სოფელს არავითარი მედიცინური დახმარება არ აქვს, თუმცა მიჰმართავენ ხოლმე მუხრანის საექიმო პუნქტს, მაგრამ წამლების უქონლობისა გამო ექიმი არ მოსდევს. მაზრის ერთადერთ ექიმს კი არ სცალიან.

საჭიროა, ყურადღება მიექცეს ამ სენს და სოფელი უბედურებისაგან იხსნან.

გოროვნელი

## თეატრი და მუსიკა

**სახელმწიფო თეატრი.** სახელმწიფო თეატრში წარმოდგენები დროებით შეწყვეტილია, იმის მიზეზით, რომ არტისტებმა უარი განაცხადეს გამოსვლაზე, რადგან ჯამაგირი არ მიუღიათ დაპირებულ დროზე. არტისტებმა თავიანთი განცხადება გადასცეს დირექციას არჩეული პირების ა. კანშინის და ვ. ნიკოლსკის პირით.

წარმოდგენები განახლდება რამდენიმე დღის შემდეგ.

მოხდება სრული რეორგანიზაცია. სათავეში უსათუოდ ჩადგებიან ახალი პირები. ადგილების ფასები იქნება დაკლებული, აგრეთვე დაიდგმება ახალი ოპერები და ოდესიდან მოიწვევენ სავასტროლოდ განთქმულ არტისტებს შაბათისთვის ალბად თეატრი გაიხსნება.

**„ლადია არგონავტოვ“.** გუშინ იყო ერთსავიანი პროგრამა ყველა 12 ციკლის პროგრამებიდან ამოღებული, რაც სეზონში საუკეთესოთ ითვლებოდა. სხვათა შორის „ჩაიხანე“ ქალ-ბლაზის მუსიკა სანდრო კორანასი, შოპენის „სევდა“. „მეფემ უბრძანა ბარაბანის დაკვრა“ მუს. ვაკერლინის. ახლო დროში განზრახულია საღამო ლევ პიშნოვის.

**„საღამო პოეზიისა და მუსიკის“.** გუშინ კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა „პოეზიისა და მუსიკის“ საღამო პოეტების ცეხის „კოლხიდას“ მეთაურობით. მონაწილეობდნენ პროფ. ნ. ჩერეპნინი, მომღერალი ა. კოლიშა, ვიოლონჩელზე დამკვრელი ნ. ბენდიცკი, მსახიობი ქალი ს. მელნიკოვისა, ლექსები წაიკითხეს: იური დეგენმა, ა. კრიუჩონიხმა, ი. ზდანევიჩმა, ლელი ჯაფარიძემ, ტიციან ტაბიძემ, ტატიანა ვეჩორკამ, სანდრო ჩაჩიკაშვილმა და სხვებმა.

**ქართული დრამა.** ქართული დრამის სეზონი, რომლის გახსნა განზრახული იყო ამ დღეებში, დაგვიანდა ერთი მთავარი მონაწილის ვ. ანჯაფარიძის ქალის ავადმყოფობის გამო.

რადგან ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება, იმედია სეზონი გიორგობისთვის პირველ რიცხვებში გაიხსნება.

რედაქტორი გიორგი ქიქოძე.

## განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

**თბილისიდან გადის**

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |

**თბილისში მოვა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.


## კერძო სამკურნალო

მოსკოვის ქ.

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

გ. მ. რეხვიაშვილი—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9 11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიულ. (სიფილ. ... 607—914 ...) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. ფთ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იმხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 46 ს.

ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი ა. დ. ალექსიძე.

ახლად მოწყობილი სტამბა
### ხელოვნება
(ველიამინოვის ქუჩა № 20)
ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. გამოცდილ მუშათა ინიციატორობით საქმეებს ასრულებს: სწრაფად, პირნათლად და დიდათ დაკლებულ ფასებში.

### ეროვნულ დემოკრატი მოსწავლენი
რომელნიც არ დასწრებიან წარსულ კრებებს
უნდა გამოცხადნენ პარტიულ ბიუროში
(სასახლის ქუჩა)
შაბათს, ღვინობისთვის 26-ს, საღამოს ექვსს საათზე.
განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები.
დასწრება აუცილებელია.
ტფ. ერ.-დემ. მოწ. ცენტრ. კომიტეტი.
(2—1).

### ეროვნულ დემოკრატი ქალთა სასწავლებლის მოსწავლენი
უნდა გამოცხადნენ პარტიულ ბიუროში
(სასახლის ქუჩა).
პარასკევს ღვინობისთვის 25-ს, საღამოს 6 საათზე.
განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები.
დასწრება აუცილებელია.
(3—2) ტფილისის ერ.-დ. მოწ. ცენტრ. კომიტეტი.

### ეროვნულ-დემოკრატ მოწაფეთა
საერთო კრება დანიშნულია კვირას, ღვინობისთვის 27-ს, სამეურნეო ბანკის დარბაზში დილის 12 საათზე.
3—1 ტფ. ერ.-დ. მოწაფეთა ცენტ. კომიტეტი.

### ინტელიგენტ ქალთა წრე
იღებს შესაკერავებს როგორც საზეიმო, აგრეთვე საშინაო და საგარეო კაბებისას და „კოსტიუმებისა“-ს როგორც მოზრდილთათვის, აგრეთვე ბავშვთათვის, ყოველგვარ მხატვრულ საქარგავ-საქსოვებს. „წრის“ სკოლაში მოწაფეებთან მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბრიდან; მოწაფეების მიღება უკვე სწარმოებს (ღარიბები უფასოთ). აქვე მიიღება „მერეჟკები“. სკოლა უფლებებით აღჭურვილია. ვერის დაღმართი, სახლი № 3, ბინა 9. შესავალი წიგნის მაღაზიის გვერდით.
10—11

ექიმი
### ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.
ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი.
მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.
ზემელის აფთიაქის მახლობლად.
თ.—1536—50

ქალ. ქუთაისში
მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა
ქირ. და ქალთა სნეულების
### საავათმყოფო
სამშობიარო განყოფილებ.
მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

სამკურნალო კაბინეთი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
### ჰეჰელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
### სამკურნალო
ამბულატორ ავადმყოფთათვის
... მ. მ. მძინარიშვილის და დ. მ. ნაზარბეგიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევს 3 ს-დე;
ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.
ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
### გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

გაიხსნა
### თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
### ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.
ტელეფონი 5—97.

ექიმი
### გ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

დოქტორი მედიცინისა
### კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.


სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამავლის შესახვევი № 1.